მცხეთის რაიონში 19—22°C-სა და ჰაერის 66—74% შეფარდებითი ტენიანობის პირობებში *N. carpocapsae* შტამი „agriotos“-ის გამოყენებით



(700 ნემ. 1 მლ წყალში) მწერების 59,0% დაიხოცა, ხოლო *N. thesami*-ის მოქმედების შედეგად მატლების სიკვდილიანობამ 64,5% მიაღწია (ცხრილი 1).

III—IV ასაკის მოზამთრე მზომელასა და ცქვლეფია მზომელას წინააღმდეგ ბოლოგიური ეფექტურობა 19—22°-სა და 66—74% შეფარდებითი ტენიანობისას

პრეპარატის დასახელება და კონცენტრაცია	1 მ სიგრძის ტოტზე მზომელების საშუალო რაოდენობა					
	მოზამთრე მზომელა			ცქვლეფია მზომელა		
	დამუშავებამდე	დამუშავების შემდეგ	ეფექტურობა, %	დამუშავებამდე	დამუშავების შემდეგ	ეფექტურობა, %
<i>N. carpocapsae</i> შტამი „agriotos“ 700 ნემ. 1 მლ წყ.	40,5 ± 2,33*	16,5 ± 1,00*	58,8	18,0 ± 1,33*	7,5 ± 0,33*	59,0
<i>N. thesami</i> 700 „	35,0 ± 2,66*	13,0 ± 0,66	60,5	2,5 ± 2,00*	2,5 ± 0,33*	64,5
<i>N. carpocapsae</i> „agriotos“ 1000 ნემ. 1 მლ წყ.	34,5 ± 1,33*	9,0 ± 0,66*	69,5	19,0 ± 1,33*	5,0 ± 0,33*	72,0
<i>N. thesami</i> 1000 „	37,2 ± 2,33*	10,5 ± 0,33	71,5	15,5 ± 1,00	3,5 ± 0,33	74,0
საკონტროლო (წყალში გლიცერინი)	36,0 ± 2,66*	35,0 ± 5,33*	0	18,5 ± 1,66	17,5 ± 1,33*	0

ვარსკვლავით აღნიშნული რიცხვები უჩვენებს სტატისტიკური მონაცემების სიზუსტეს.

სუსპენზიაში ნემატოდების რაოდენობის გაზრდის შედეგად (1000 ნემ. 1 მლ წყალში) ამოღდა პრეპარატის ეფექტურობაც. *N. carpocapsae* შტამი „agriotos“-ის გამოყენებით დაიღუპა მწერების 72,0%, ხოლო *N. thesami*-ის მოქმედებით — 74,0%.

ბორჯომის რაიონში 16—18° t-სა და ჰაერის 86—92% შედარებით ტენიანობის პირობებში ჩატარებული ცდების შედეგები 11—13%-ით ეფექტური აღმოჩნდა ვიდრე მცხეთის რაიონში ჩატარებული ცდებისა.

ამრიგად, როგორც ლაბორატორიულ, ასევე ბუნებრივ პირობებში ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგებმა ცხადყო: 1. რაც უფრო მაღალია ნემატოდური სუსპენზიის კონცენტრაცია, მით უფრო მაღალია მწერების სიკვდილიანობა;

2. პრეპარატის მოქმედების მაღალი ეფექტურობა განპირობებულია აგრეთვე ჰაერის მაღალი შეფარდებითი ტენიანობით;

3. მუხის მავნებლების (მოზამთრე მზომელა, ცქვლეფია მზომელასა და მუხის მწვანე ფოთოლხვევიას) წინააღმდეგ საბრძოლველად პერსპექტიულია როგორც *N. carpocapsae* შტამი „agriotos“-ი, ასევე ენდემური სახეობა *N. thesami*.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
ზოოლოგიის ინსტიტუტი

О. А. ГОРГАДЗЕ

 ПЕРСПЕКТИВЫ ИСПОЛЬЗОВАНИЯ НЕМАТОД РОДА
 NEOAPLECTANA (STEINERNEMATIDAE) ПРОТИВ
 ВРЕДИТЕЛЕЙ ДУБА

Резюме

Для определения возможностей сравнительной эффективности использования энтомопатогенных нематод (*N. carpocapsae* штамм «agriotos», *N. thesami*) против основных вредителей дуба — зимней пяденицы, пяденицы обдирало и дубовой зеленой листовертки ставились опыты в лабораторных и природных условиях.

Было установлено, что штаммы «agriotos» и *N. thesami* характеризуются одинаково высокой биологической эффективностью.

PARASITOLOGY AND HELMINTHOLOGY

O. GORGADZE

 NEOAPLECTANS FAMILY (STEINERNEMATIDAE) NEMATODE
 USAGE PROSPECTS AGAINST OAK PESTS

Summary

To determine the prospects for the use of entomopathogenic nematode (*N. carpocapsae* strain „agriotos“, *N. thesami*) and for its comparative effectiveness, tests have been carried out on the oak main pests—*Operophtera brumata* L., *Erannis defoliaria* Cl., and *Tortrix viridana* L.

The data obtained showed that *N. carpocapsae* strain „agriotos“ and *N. thesami* are characterized by the equal biological effectiveness.

ლიტერატურა — LITERATURE — REFERENCES

1. Б. Е. Курашвили, Г. А. Какулия, Т. В. Гургенидзе. Гельминты насекомых. М., 1980, 78—81.
2. S. R. Dutky, J. V. Thompson and G. E. Cantwell. *J. Insect. Pathol.* v. 6, 1964, 417-422.
3. Г. Санднер. Биологические средства защиты растений. М., 1974, 93—107.
4. В. И. Тараканов. Гельминты насекомых. М., 1980, 132—139.
5. Б. П. Рассиния. Тез. докл. конф. «Пути внедрения прогрессивных методов защиты растений в с/х производство». Рига, 1976, 28—30.
6. Т. Ш. Имнадзе. Перспективы использования энтомопатогенных бактерий против вредителей леса. Груз. НИИТИ, сер. «Сельское хозяйство», вып. 12. Тбилиси, 1987, 3—28.

თ. შაშლავა

თირკმელზედა ჯირკვლის ბაზირაკოვანი ზონის ულტრასტრუქტურა ფიზიკური დატვირთვის შემდეგ სხვადასხვა ასაკის ვირთაგვიშვი

(წარმოდგინა აკადემიოსმა ნ. ჯავახიშვილმა 13.2.1992)

ინტენსიური ფიზიკური დატვირთვა არის ძლიერი სტრეს-ფაქტორი, რომელიც თირკმელზედა ჯირკვლის ქერქოვანი ნივთიერების ფუნქციური აქტივობის გაძლიერებას იწვევს [1, 2]. ადრენოკორტიკოტროპული აქტივობის ზრდის ხარისხი დამოკიდებულია დატვირთვის პარამეტრებზე, პირველ რიგში, სიმძლავრეზე და ადამიანისა და ცხოველის ასაკზე [3].

ზნორად, დატვირთვის შემდგომ პერიოდში აღინიშნება ადრენოკორტიკოტროპული აქტივობის განმეორებითი ზრდა, რომელსაც ტალღისებრი ცვლილებები ახლავს [4], განსაკუთრებით ხანდაზმულ ორგანიზმებში [5].

დაკვირვება ჩატარდა 30 უჯიშო მამრ ვირთაგვაზე სხეულის მასით 150—180 გ. ვირთაგვები იყო ორი ასაკობრივი ჯგუფის — ახალგაზრდა (18 თვის) და დაბერებული (28 თვის). დატვირთვა სირბილით ტრედბანში წარმოებდა 3 სხვადასხვა რეჟიმში: 1) ერთჯერადი, დაღლამდე (საშუალოდ 5 საათი), 2) ზომიერი — 2 სთ 2-ჯერ კვირაში 2 თვის განმავლობაში, 3) ქრონიკული დატვირთვა (დაღლა) — 5—6 სთ ყოველდღე 2 თვის განმავლობაში. თითოეულ ჯგუფში იყო 5—5 შესადარებელი ასაკის ცხოველი. ცხოველები გამოვლყავდა ცდიდან დატვირთვის შეწყვეტისთანავე. პისტოლოგური და ელექტრონულმიკროსკოპული შესწავლისათვის მასალას ვამუშავებდით ჩვეულებრივი მეთოდებით, ულტრაბუნებრივ ანათლებს ეიკვლევედით Tesla BS-500 ტიპის ელექტრონულ მიკროსკოპში.

საკონტროლო ჯგუფს წარმოადგენდა იმავე ასაკის ინტაქტური ცხოველები.

ინტაქტურ მდგომარეობაში (დატვირთვის გარეშე) 8 თვის ასაკის ვირთაგვების თირკმელზედა ჯირკვლის ქერქოვანი ნივთიერების ბაზირაკოვანი შრე წარმოდგენილია ღია და ზომიერი ელექტრონული სიმკვრივის უჯრედებით, რომელთა ციტოპლაზმა შეიცავს მრავალრიცხოვან ლიპიდურ წვეთებს, მცირე ზომის მიტოქონდრიებს ტუბულოზურ-ვეზიკულური კრისტებით, გლიოგენის ცალკეულ გროვებს, სუსტად გამოხატულ გლუვი ციტოპლაზმური ბადისა და გოლჯის აპარატის მემბრანებს. ეს უქანასკნელი წარმოდგენილია მხოლოდ ვიწრო სადაკონტურაინი ცისტერნებით. 28 თვის ასაკის ვირთაგვებში ჯირკვლოვან უჯრედებს აქვთ ნაკლები ლიპიდური წვეთები, რომელთა მემბრანას აღენიშნება მიელინის მსგავსი გადაგვარება, გიგანტური ზომის მიტოქონდრიები ვაკუუოლიზირებული მალალი კრისტებით.

ერთჯერად ფიზიკურ დატვირთვას გადაღლის მკაფიო ნიშნების გამოვლენამდე (ტრედბანზე დაჯდომა არეაქტიულობა, ცხვირიდან სისხლის დენა) ახალგაზრდა ცხოველების თირკმელზედა ჯირკვლის ქერქის ბაზირაკოვანი ზონის უჯრედები პასუხობენ კორტიკოსტეროიდების სინთეზის პროცესის აქტივიზაციით, რაზედაც მიუთითებს ზომიერად ოსმიოფილური და მუქი ფერის უჯრედების რიცხვის გაზრდა, ციტოპლაზმაში მრავალრიცხოვანი ლიპიდური წვეთებით, მიტოქონდრიებითა და გოლჯის აპარატის გაფართოებული ცისტერნებით. „მუქ“ უჯრედებში ლიპიდური წვეთები, როგორც წესი, ვაკუოლიზირებულია, რაც აიხსნება კორტიკოსტეროიდების სინთეზის დროს ქოლესტერინის ეთერ-



ბის ინტენსიური რეზორბციით [6]. სივრცეში ჩანს გოლჯის აპარატის ჰიპერტროფული ცისტერნები, აღსანიშნავია ნათელი ვაკუოლებისა და შემოსახლვრული ბუშტუკების შიგთავსის ექსტრუზია. უჯრედშია სივრცეში თირკმელზედა ჯირკვლის ქერქოვანი შრის ფუნქციის გაძლიერებაზე მიუთითებს აგრეთვე, გლიოგენის გაქრობა ადრენოკორტიკოციტების ციტოპლაზმიდან, რაც სპეციალური ბიოქიმიური გამოკვლევითაც დასტურდება [7].

28 თვის ასაკის ვართაგვების ადრენოკორტიკოციტებში ერთჯერადი ფიზიკური დატვირთვის დროს იზრდება მეორეული ლიზოსომების რიცხვი, მკვეთრად მცირდება ლიზიდური წვეთებისა და სეკრეტორული გრანულების რაოდენობა, ადგილი აქვს მიტოქონდრიებში მატრიქსის გაიშვიათებას და კრისტების დისკომპლექსაციას, აგრეთვე ენდოპლაზმური ბადის მილაკების დაშლას.

ახალგაზრდა ცხოველებში ზომიერი ფიზიკური დატვირთვის დროს (2—2 სთ კვირაში 2-ჯერ 2 თვის განმავლობაში) ბაგირაკოვანი ზონის ადრენოკორტიკოციტებს შორის სჭარბობს ოსმიოფილური „მუჭი“ უჯრედები გიგანტური ზომის მიტოქონდრიებით, მრავალრიცხოვანი ლიზიდური წვეთებით, აგრეთვე უჯრედების მემბრანის მრავალრიცხოვანი მიკროხაოებით უჯრედშია სივრცეში. დამახასიათებელია გოლჯის ელემენტების და ენდოპლაზმური ბადის ჰიპერტროფია, რიბოსომებისა და პოლისომების რაოდენობის გაზრდა. ბირთვები დიდი ზომისაა 1 ან 2. გოლჯის ელემენტების ირგვლივ თავმოყრილია მიკროსხეულები და ლიზოსომები. უკანასკნელნი ლაგდებიან უჯრედის სეკრეტორული პოლუსების ახლოსაც (სურ. 1).



სურ. 1. ახალგაზრდა ვართაგვას თირკმელზედა ჯირკვლის ქერქის ბაგირაკოვანი ზონა ზომიერი დატვირთვის შემდეგ. ადრენოკორტიკოციტის ციტოპლაზმა ოსმიოფილურია, მრავალრიცხოვანი მიტოქონდრიებით (1), ლიზიდური წვეთები (2), კაპილარის ენდოთელში პინოციტოზური ბუშტუკები (3). $\times 6000$.

ბებერ ცხოველებში ზომიერი ფიზიკური დატვირთვის დროს ადგილი აქვს ბაგირაკოვანი ზონის ადრენოკორტიკოციტების თვალსაჩინო ფუნქციურ და სტრუქტურულ არაერთგვაროვნებას: სეკრეტის სხვადასხვა სტადიაზე მყოფი უჯრედები ერთმანეთთან მჭიდროდ მდებარეობენ, „ნათელი“ უჯრედების რაოდენობა გაზრდილია, რომელთაგან უმეტესი იმყოფება სეკრეტის გამოყოფის სტადიაზე, ხოლო ცალკეულ „ნათელ“ უჯრედში აღინიშნება ციტოლიზი, ორგანულების შეშუპება, დეგრადაცია, აუტოფაგოსომებში ხშირია მიელინის-მსგავსი წარმონაქმნები. უჯრედშია სივრცეში გვხვდება მიტოქონდრიები (სურ. 2).



ზომიერი ფიზიკური დატვირთვის დროს თავი იჩინა აგრეთვე მიკროციტოლოგიური კალაპოტის მკაფიო რეაქციამ. ახალგაზრდა ცხოველებში იგი გამოიხატა კაპილარების ენდოთელის პლაზმოლემის მიკროხაოების რიცხვის გაზრდით, ციტოპლაზმის გაიშვიათებითა და მიკროზინოციტოზის გაძლიერებით. ხოლო ბებერ ცხოველებში — პერიკაპილარული შეშუპებით, სანათურში



სურ. 2. ბებერი ვირთაგვის თირკმელზედა ჯირკვლის ქერქის ბაგირაკოვანი ზონა ზომიერი დატვირთვის დროს. აღრენოკორტიკოციტების ციტოპლაზმა შეშუპებული (1), ციტოლიზი (2), აუტოფაგოსომა (3). მიტოქონდრიების გამორეცხვა (4) უჯრედში სივრცეში. $\times 10000$.

ერიტროციტებისა და თრომბოციტების აგრეგაციით, რაც ენდოთელის მიმართ შეიძლება ასრულებდეს როგორც დაცვით როლს, ასევე მისი დამაზიანებელი ფაქტორის როლსაც [8] (სურ. 1).

ქრონიკული დატვირთვის (დაღლის) პირობებში ახალგაზრდა ცხოველებს თირკმელზედა ჯირკვლის ბაგირაკოვანი ზონის აღრენოკორტიკოციტებში აღინიშნება დიდი ზომის სეკრეტორული გრანულები შიგთავსის უთანაბრო სიმკვრივით, რომელიც ცენტრში მკაფიოდ გაიშვიათებულია. მიტოქონდრიები დიდი ზომისაა, შეიცავენ მრავალრიცხოვან ტუბულოზურ-ვეზიკულურ კრისტებს, რომლებიც ალაგ-ალაგ შეწყობილი ან ვაკუოლიზირებულია.

ბებერ ცხოველებში დატვირთვის ქრონიკული რეჟიმის დროს აღინიშნება უპირატესად დესტრუქციული მიმართების რეაქცია: ორგანოების, უჯრედის პლაზმოლემის და მათზე მდებარე მიკროხაოების ფრაგმენტაცია, ლიზიდური სტრუქტურების მიეღინისებრი გადაგვარება, გლიოგენის, რიბოსომებისა და პოლისომების რაოდენობის შემცირება, სეკრეტორული გრანულების ოდენობის და რიცხვის დაკლება. ზოგიერთ უჯრედში გამოვლინდა დიდი რაოდენობით მეორეული ლიზოსომები და ნარჩენი სხეულები. ბირთვის პარამეტრები შედარებით უცვლელია.

ამრიგად, ახალგაზრდა და ბებერი ასაკის ვირთაგვების თირკმელზედა ჯირკვლის ქერქოვან ნივთიერებაში სხვადასხვა რეჟიმის ფიზიკური დატვირთვის დროს ვითარდება დესტრუქციული და კომპენსატორულ-შეგუებითი ხასიათის ცვლილებები. მწვავე ფიზიკურ დატვირთვისას (გადაღლა) და ზომიერ ფიზიკურ დატვირთვისას ახალგაზრდა ცხოველების აღრენოკორტიკოციტები უმასუხებენ ცილისა და კორტიკოციტების მასინთეზირებელი სტრუქტურების ჰიპერტროფიით, სეკრეციის გაძლიერებით (ეგზოციტოზი, ვაკუოლების ექსტრუზია), კაპილარების ენდოთელის სატრანსპორტო ფუნქციის გააქტივებით, ხოლო ბებერ ცხოველებში დესტრუქციულ ცვლილებებთან ერთად აღინიშნება სუსტად



ვაშლიანოვი კომპენსატორული რეაქციები, რომლებიც მიმართულია ვაშლიანოვის სეკრეტის უნარისა და ფუნქციის შენარჩუნებისაკენ.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
 ალ. ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული
 მორფოლოგიის ინსტიტუტი

(შემოვიდა 14.2.1992)

ЦИТОЛОГИЯ

Т. Ю. УГУЛАВА

УЛЬТРАСТРУКТУРА ПУЧКОВОЙ ЗОНЫ НАДПОЧЕЧНОЙ
 ЖЕЛЕЗЫ У КРЫС РАЗНОГО ВОЗРАСТА ПОСЛЕ
 ФИЗИЧЕСКОЙ НАГРУЗКИ

Резюме

Беспородных крыс молодого (8 мес.) и старческого (28 мес.) возрастов подвергали физическим нагрузкам в treadmills: 1 — острая предельная нагрузка, 2 — умеренная, 3 — хроническая. При однократной и умеренной нагрузках у молодых животных в железистых клетках пучковой зоны развиваются гипертрофия и гиперплазия белоксинтезирующих и секреторных структур, усиливается функциональная активность эндотелия капилляров. У старых крыс в железистых клетках пучковой зоны преобладают деструктивные изменения на фоне слабо выраженных компенсаторно-приспособительных реакций органелл.

СЫТЛОГЫ

T. UGULAVA

THE ULTRASTRUCTURE OF THE RAT'S ADRENAL GLAND
 CORTEX FASCICULAR ZONE UNDER THE PHYSICAL
 LOADING AND AGING

Summary

The ultrastructure of the fascicular zone of the adrenal gland cortex has been studied in the young (8 months) and old (28 months) rats after the different regime of running in treadmill: 1—single physical loading up to fatigue; 2—moderate physical loading; 3—chronic physical loading.

After single and moderate physical loading of young rats hypertrophy and hypoplasia of the protein synthesizing and secretory cells of fascicular zone develop and the functional activity of the endothelial cells of the capillary wall increases. In old rats destructive and weakly manifested compensatory changes are seen.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. А. А. Виру. Усп. физиол. наук, т. II, 1980.
2. J. Tew—Endocrinology, v. 62, 1974, p. 341—353.
3. А. А. Виру. Функция коры надпочечников при мышечной деятельности. М., 1977.
4. З. И. Сухова, В. В. Иванецкая, Ю. П. Сергеев. Архив анат. гист. и эмбриол., 8, 1986, 59—64.
5. В. В. Безруков, Г. М. Шапошников, Архив анат., гист. и эмбриол., II, 1987, 76—80.
6. G. Nussdorfer, G. Mazochi, T. Maneghelli—Lut. Rev. Cytology, v. 55, 1978, p. 291.
7. Е. С. Финогенов, С. Т. Савинова. В кн.: «Эндокринные механизмы регуляции приспособления организма и мышечной деятельности», т. 2, Тарту, 1971, 133—143.
8. А. М. Чернух, П. Н. Александров, О. В. Алексеев. Микроциркуляция. М., 1975.



ბ. დანელია, ლ. ნაღაშვილი

სამულის ნაწილების ზომების ურთიერთდამოკიდებულება
 ზრდასრულ მამაკაცებში

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა თ. დეკანოზიძემ 25.3.1992)

ადამიანს უხსოვარი დროიდან აინტერესებდა თავის სხეულის და მისი ცალკეული ნაწილების შესწავლა. ჯერ კიდევ უძველესი დროიდან მეცნიერები ცდილობდნენ აეხსნათ სხეულის ნაწილების ურთიერთშეფარდების კანონზომიერებანი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს საკითხი დღემდე მცირედ არის შესწავლილი.

ამ მიზნით ჩვენ შევისწავლეთ 300 ადამიანი (20-დან 55 წლამდე). მათ შორის 175 ქალი და 125 მამაკაცი, დავაჯგუფეთ ისინი ასაკის და სქესის მიხედვით. ჩვენ შევისწავლეთ 26 ანტროპომეტრული ნიშანი, დავადგანეთ ამ ნიშნების ურთიერთკორელაციები, განვსაზღვრეთ მათი ცვლილებები, საშუალო არითმეტიკულები და საშუალო კვადრატული გადახრები. რეგრესიული ხაზების შესწავლით დავადგინეთ სარწმუნოების კოეფიციენტი. შესწავლილი მასალა გადავამუშავეთ პერსონალურ კომპიუტერზე.

ინდექსები, რომლებიც მიღებულია გარშემოწერილობითი და განივი ზომებიდან, იძენენ განივი და გარშემოწერილობითი ზომების მავგარ მნიშვნელობებს.

გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ თავისა და კისრის, ტორსის და კიდურების დამოკიდებულება რჩება პრაქტიკულად ერთნაირი ყველა ზომიწონის კლასებში. ერთი და იგივეა დამოკიდებულება, ასევე გარშემოწერილობით ზომებში როგორც ზემო, ისე ქვემო კიდურებში.

კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ერთი და იმავე სიმაღლის კლასებში სხეულის წონის ზრდასთან ერთად, სხეულის საერთო კანქვეშა ცხიმის ზრდასთან დაკავშირებით, მხარზე და ბარძაყის მიდამოში კანქვეშა ცხიმის წილი მატულობს.

ასაკობრივ ჯგუფებში 20-დან 25 წლამდე მამაკაცების სხეულას პროპორციები შემდეგნაირია:

- | | | |
|--|-------------------------|-----------------------------|
| 1. <u>სიგრძე ჭლამით</u>
სხეულის სიგრძესთან | $M = 50,52; (34,29\%);$ | $S = 1,22; V = 0,0242;$ |
| | | $B_1 = 0,408; B_2 = 2,325.$ |
| 2. <u>ზემოკიდურის სიგრძე</u>
სხეულის სიგრძესთან | $M = 41,00; (34,28\%);$ | $S = 0,79; V = 0,0192;$ |
| | | $B_1 = 0,864; B_2 = 4,219.$ |
| 3. <u>მენჯის სიგანე</u>
მხრების სიგანესთან | $M = 73,15; (31,43\%);$ | $S = 2,23; V = 0,0305;$ |
| | | $B_1 = 0,225; B_2 = 2,895.$ |
| 4. <u>მენჯის სიგანე</u>
სხეულის სიგრძესთან | $M = 16,76; (45,71\%);$ | $S = 0,85; V = 0,0508;$ |
| | | $B_1 = 0,432; B_2 = 2,415.$ |
| 5. <u>სახის სიმაღლე</u>
ყვრიმალითშუა დიამ. | $M = 77,76; (51,43\%);$ | $S = 6,78; V = 0,0872;$ |
| | | $B_1 = 0,557; B_2 = 2,435.$ |

ძირითად სტატისტიკური მაჩვენებლები ანტროპომეტრული ნიშნების მიხედვით
 სქესი—მამაკაცები
 ასაკი—20—24

	საშუალო არითმეტიკული (M)									
		დისპერსია (D)								
			საშუალო კვადრატული გადახრა (S)							
				ვარიაციის კოეფიციენტი (V)						
				ასიმეტრიის კოეფიციენტი (B 1)						კატეგორია 3
					ექსცესის კოეფიციენტი (B 2)					
					კატეგორია 1			კატეგორია 2	კატეგორია 3	
სიგრძე ქლოში სხეულის სიგრძესთან	50.52 ± 0.62 p=0.05	1.50 + 0.90 - 0.55 p=0.05	1.22 + 0.32 - 0.25 p=0.05	0.0212 + 0.0068 - 0.0052 p=0.05	0.408	2.325	34.29%	45.71%	20.00%	
ზ. კიდ. სიგრძე სხეულის სიგრძესთან	41.00 ± 0.40 p=0.05	0.62 + 0.37 - 0.23 p=0.05	0.79 + 0.21 - 0.16 p=0.05	0.0192 + 0.0053 - 0.0041 p=0.05	0.861	4.219	34.28%	54.29%	11.43%	
შენჯის სივანე მხრების სიგრძესთან	73.15 ± 1.12 p=0.5	4.97 + 2.98 - 1.84 p=0.05	4.97 + 2.98 - 1.84 p=0.05	0.0305 + 0.0087 - 0.0066 p=0.05	0.225	2.395	31.43%	57.14%	11.43%	
შენჯის სივანე სხეულის სიგრძესთან	16.76 ± 0.43 p=0.05	0.73 + 0.44 - 0.27 p=0.05	2.23 + 0.59 - 0.46 p=0.05	0.0508 + 0.0152 - 0.0115 p=0.05	0.432	2.415	45.71%	31.43%	22.86%	
სახის სიმაღლე ყვრიმ. დიამეტრ.	77.76 ± 3.42 p=0.05	45.95 + 27.57 - 17.00 p=0.05	6.78 + 1.80 - 1.40 p=0.05	0.0872 + 0.0282 - 0.0209 p=0.05	0.557	2.435	51.43%	25.71%	22.86%	
ზელები ვაშლ. სხეულის სიგრძესთან	99.82 ± 1.12 p=0.05	4.97 + 2.98 - 1.84 p=0.05	2.23 + 0.59 - 0.46 p=0.05	0.0223 + 0.0062 - 0.0048 p=0.05	0.742	2.631	48.57%	31.43%	20.00%	

შ. ბერიძის სახელობის ინსტიტუტი

კისრის სიგრძე
კისრის ვარიაციურობა.

38.21 ± 2.67
 $p=0.05$

$27.98 \pm 16.79 - 10.35$
 $p=0.05$

$5.29 \pm 1.40 \pm 1.09$
 $p=0.05$

$0.1384 \pm 0.0498 - 0.0357$
 $p=0.05$

0.430

1.983

25.71%

34.29%

40.00%

მხ. ორ. კუნთ.
ზ. კლ. სიგრძე

45.14 ± 0.91
 $p=0.05$

$3.23 \pm 1.94 - 1.19$
 $p=0.05$

$1.80 \pm 0.48 - 0.37$
 $p=0.05$

$0.0416 \pm 0.0122 - 0.0093$
 $p=0.05$

0.124

2.045

40.00%

37.14%

29.29%

გულშივ. ვარშ.
სხ. სიგრძესთან

52.25 ± 1.07
 $p=0.05$

$4.54 \pm 2.72 - 1.68$
 $p=0.05$

$2.13 \pm 0.56 - 0.44$
 $p=0.05$

$0.0408 \pm 0.0119 - 0.0091$
 $p=0.05$

0.640

2.448

51.43%

22.86%

25.71%

თავ. ვარ. ღიაშ.
თავ. სიგრძ. ღიაშ.

85.70 ± 2.41
 $p=0.05$

$22.88 \pm 13.73 - 8.47$
 $p=0.05$

$4.78 \pm 1.27 - 0.99$
 $p=0.05$

$0.0558 \pm 0.0168 - 0.0127$
 $p=0.05$

0.122

2.084

48.57%

40.00%

11.43%

ქვე. ყბის ღიაშ.
ყვრისმ. ღიაშ.

76.64 ± 1.87
 $p=0.05$

$13.81 \pm 8.29 - 5.11$
 $p=0.05$

$3.72 \pm 0.98 - 0.77$
 $p=0.05$

$0.0485 \pm 0.0144 - 0.0109$
 $p=0.05$

0.323

2.805

34.29%

60.00%

5.72%

ქვე. კლ. სიგრძე
სხ. სიგრძე

52.53 ± 0.60
 $p=0.05$

$1.43 \pm 0.86 - 0.53$
 $p=0.05$

$1.19 \pm 0.32 - 0.25$
 $p=0.05$

$0.0227 \pm 0.0064 - 0.0049$
 $p=0.05$

0.049

3.169

17.15%

65.71%

17.14%

მხ. სიგრძე
სხ. სიგრძ.

22.95 ± 0.76
 $p=0.05$

$2.29 \pm 1.37 - 0.85$
 $p=0.05$

$1.51 \pm 0.40 - 0.31$
 $p=0.05$

$0.0659 \pm 0.0203 - 0.0153$
 $p=0.05$

0.214

2.081

31.43%

42.86%

25.71%

წონა
სხ. სიგრძე

42.48 ± 1.13
 $p=0.05$

$5.00 \pm 3.00 - 1.85$
 $p=0.05$

$2.24 \pm 0.59 - 0.46$
 $p=0.05$

$0.0526 \pm 0.0158 - 0.0119$
 $p=0.05$

0.555

3.288

51.43%

40.00%

8.57%

საქართველოს
საბუნებისმეტყველო
მეცნიერებათა
აкадеმიის
გამაზობელი
ცენტრი

საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის გამაზობელი ცენტრი



6. $\frac{\text{კისრის საგრძე}}{\text{კისრის ვარშემ.}} \quad M=38,21; (25,71\%); S=5,29; V=0,1384; B_1=0,430; B_2=1,983.$
7. $\frac{\text{ვულმკერდის გარშემოწ.}}{\text{სხეულის სიგრძესთან}} \quad M=52,25; (51,43\%); S=2,13; V=0,0408; B_1=0,640; B_2=2,448.$
8. $\frac{\text{თავის განივი დიამეტ.}}{\text{თავის სიგრძ. დიამეტ.}} \quad M=85,70; (48,57\%); S=4,78; V=0,0558; B_1=0,122; B_2=2,084.$
9. $\frac{\text{ქვემო კოდ. სიგრძე}}{\text{სხეულის სიგრძესთან}} \quad M=52,53; (17,15\%); S=1,19; V=0,0227; B_1=0,049; B_2=3,169.$
10. $\frac{\text{მხრების სიგანე}}{\text{სხეულის სიგრძესთან}} \quad M=22,95; (31,43\%); S=1,51; V=0,0659; B_1=0,214; B_2=2,081.$
11. $\frac{\text{წონა}}{\text{სხეულის სიგრძესთან}} \quad M=42,48; (51,43\%); S=2,24; V=0,0526; B_1=0,555; B_2=3,288.$

ასაკობრივ ჯგუფში 25-დან 29 წლამდე მამაკაცების პროპორციების თანადარღობა შემდეგია:

1. $\frac{\text{სიგრძე ჯდომით}}{\text{სხეულის სიგრძე}} \quad M=50,05; (44,00\%); S=0,94; V=0,0188; B_1=0,856; B_2=3,446.$
2. $\frac{\text{ზემო კოდურების სიგრძე}}{\text{სხეულის სიგრძესთან}} \quad M=40,91; (48,00\%); S=0,67; V=0,0163; B_1=0,925; B_2=3,075.$
3. $\frac{\text{მენჯის სიგანე}}{\text{მხრების სიგანე}} \quad M=74,82; (20,00\%); S=1,97; V=0,0263; B_1=-0,732; B_2=2,519.$
4. $\frac{\text{მენჯის სიგანე}}{\text{სხეულის სიგრძე}} \quad M=17,00; (28,00\%); S=0,85; V=0,0499; B_1=0,163; B_2=2,780.$
5. $\frac{\text{სახის სიმაღლე}}{\text{ყვრიმოლთშუა დიამ.}} \quad M=78,05; (20,00\%); S=3,93; V=0,0503; B_1=-0,398; B_2=3,048.$
6. $\frac{\text{კისრის სიგრძე}}{\text{კისრის ვარშემ.}} \quad M=39,68; (24,00\%); S=5,36; V=0,1351; B_1=-0,419; B_2=1,900.$
7. $\frac{\text{ვულმკერდ. ვარშ.}}{\text{სხ. სიგრძესთან}} \quad M=52,23; (60,00\%); S=2,18; V=0,0418; B_1=1,188; B_2=3,471.$
8. $\frac{\text{თავის განივი დიამ.}}{\text{თავის სიგრძ. დიამ.}} \quad M=85,12; (64,00\%); S=5,23; V=0,0614; B_1=0,512; B_2=2,093.$
9. $\frac{\text{ქვ. კოდ. სიგრძე}}{\text{სხეულის სიგრძესთან}} \quad M=53,07; (4,00\%); S=0,95; V=0,0179; B_1=-0,920; B_2=6,545.$
10. $\frac{\text{მხრების სიგანე}}{\text{სხ. სიგრძესთან}} \quad M=22,73; (64,00\%); S=1,15; V=0,0507; B_1=0,866; B_2=2,716.$
11. $\frac{\text{წონა}}{\text{სხ. სიგრძე}} \quad M=43,38; (20,00\%); S=1,45; V=0,0334; B_1=-0,924; B_2=2,781.$

ასაკობრივი ჯგუფი კაცების 30-დან 35 წლამდე ხასიათდება შემდეგი მანგენებლუბით:

1. $\frac{\text{სიგრძე ჯდომით}}{\text{სხ. სიგრძე}} \quad M=50,63; (60,00\%); S=0,73; V=0,0144; B_1=0,690; B_2=2,169.$

2. ზემო კიდ. სიგრძე $M = 41,14; (20,09\%); S = 0,48; V = 0,0117;$
სხეულის სიგრძე $B_1 = -0,168; B_2 = 2,223.$
3. მენჯის სიგანე $M = 75,10; (40,00\%); S = 0,80; V = 0,0106; B_1 = 0,321;$
მხრების სიგანე $B_2 = 1,587,$
4. მენჯის სიგანე $M = 17,08; (60,00\%); S = 1,11; V = 0,0649;$
სხეულის სიგრძე $B_1 = 0,764; B_2 = 2,218.$
5. სახის სიმაღლე $M = 84,04; (20,00\%) S = 10,10; V = 0,1202;$
ყვრიმაღლოთშუა ღიაშ. $B_1 = -0,612; B_2 = 2,008.$
6. კისრის სიგრძე $M = 42,17; (20,00\%); S = 7,41; V = 0,1757;$
კისრის გარშემოწ. $B_1 = -0,869; B_2 = 2,378.$
7. გულმკერდ. გარშ. $M = 52,25; (60,00\%); S = 2,51; V = 0,0480;$
სხ. სიგრძე $B_1 = 1,078; B_2 = 2,738.$
8. თავის განივი ღიაშ. $M = 84,85; (60,00\%); S = 6,60; V = 0,0778;$
თავის სიგრძ. ღიაშ. $B_1 = 0,436; B_2 = 1,661.$
9. ქვ. კიდ. სიგრძე $M = 53,43; (20,00\%); S = 1,15; V = 0,0215;$
სხეულის სიგრძესთან $B_1 = -0,129; B_2 = 2,463.$
10. მხრების სიგანე $M = 22,73; (60,00\%); S = 1,23; V = 0,0542;$
სხეულის სიგრძე $B_1 = 0,839; B_2 = 2,332.$
11. წონა $M = 44,54; (40,00\%); S = 2,00; V = 0,0450; B_1 = 0,162.$
სხ. სიგრძე $B_2 = 1,572.$

ასაკობრივ ჯგუფში 35—39 წელი კაცები ხასიათდება:

1. სიგრძე ჯღომით $M = 50,65; (30,00\%); S = 0,98; V = 0,0194;$
სხეულის სიგრძე $B_1 = 0,091; B_2 = 2,077.$
2. ზემო კიდ. სიგრძე $M = 41,21; (40,00\%); S = 0,54; V = 0,0131;$
სხ. სიგრძე $B_1 = 0,154; B_2 = 1,712.$
3. მენჯის სიგანე $M = 74,88; (60,09); S = 1,19; V = 0,0159;$
მხრების სიგანესთან $B_1 = 1,020; B_2 = 3,621.$
4. მენჯის სიგანე $M = 17,40; (50,00\%); S = 1,22; V = 0,0703;$
სხეულის სიგრძე $B_1 = 0,476; B_2 = 1,636.$
5. სახის სიმაღლე $M = 80,96; (30,00\%); S = 9,23; V = 0,0440;$
ყვრიმაღლოთშუა ღიაშ. $B_1 = 0,175; B_2 = 1,800.$
6. კისრის სიგრძე $M = 39,89; (40,00\%); S = 7,57; V = 0,1898;$
კისრის გარშ. $B_1 = 0,143; B_2 = 1,676.$
7. გულმკერდ. გარშ. $M = 53,96; (40,00\%); S = 3,06; V = 0,0568;$
სხეულის სიგრძე $B_1 = -0,005; B_2 = 1,541.$
8. თავის განივი ღიაშ. $M = 84,76; (60,00\%); S = 5,23; V = 0,0617;$
თავის სიგრძ. ღიაშ. $B_1 = 0,353; B_2 = 1,976.$
9. ქვ. კიდ. სიგრძე $M = 52,80; (10,00\%); S = 0,57; V = 0,0157;$
სხეულის სიგრძე $B_1 = 0,070; B_2 = 3,354.$
10. მხრების სიგანე $M = 23,24; (70,09\%); S = 1,57; V = 0,0677;$
სხეულის სიგრძე $B_1 = 0,667; B_2 = 1,862.$

MATHEMATICS

O. MEUNARGIA

ASYMPTOTIC PROPERTIES OF SOLUTIONS OF THE LINEAR
CONJUGATION BOUNDARY VALUE PROBLEM*)

(Presented by B. Khvedelidze, Member of the Academy 12.11.1991)

We consider the linear conjugation boundary value problem, when, on a complex plane Z with a cut L , we seek the piecewise holomorphic function $F(z)$ of finite order at infinity, under the following condition:

$$F^+(t) = G(t) F^-(t) \quad (1)$$

where L is supposed to be a smooth, closed contour dividing the complex plane Z into two domains D^+ and D^- , $\infty \in D^-$; the given function $G(t)$ belongs to the Hölder class of functions $H_\nu(L)$, $G(t) \neq 0$ for $t \in L$, $F^+(t)$ and $F^-(t)$ denote boundary values of $F(z)$ for $z \rightarrow t$ from D^+ or D^- , respectively.

In the multicomponent case we have $F(z) = (F_1(z), \dots, F_n(z))$ and $G(t) = (G_{ik}(t))$, $i, k = 1, \dots, n$, $\det G(t) \neq 0$, when $t \in L$.

In a number of cases, particularly in quantum field theory, investigation of many processes lead to Problem (1), when we need to find solutions of this problem with the following asymptotics at infinity (1):

$$1 + O\left[\frac{1}{z^\alpha}\right] \quad (2)$$

Thus, it is required to find some solutions, which are bounded at infinity, normalized there by a unit vector and their asymptotic series do not contain $1/z$ of first degree.

Problem (1) is effectively solvable for the scalar case, and this theory is perfectly given in N. Muskhelishvili's monograph (2).

It is known that if the index

$$\alpha = \frac{1}{2\pi i} [\ln G(t)]_L \quad (3)$$

of Problem (1) is a positive integer, this problem always has $\alpha + 1$ linearly independent solutions bounded at infinity and the general form of such solutions is the following:

$$F(z) = X(z) P_\alpha(z) \quad (4)$$

*) The results of the paper have been reported at the International Symposium of Continuum Mechanics and Related Problems of Analysis dedicated to the centenary of Academician N. I. Muskhelishvili (Tbilisi, June 5-12, 1991).

11. წონა
სხ. სიგრძესთან $M=43,22; (50,00\%); S=3,33; V=0,0771; B_1=0,465;$
 $B_2=1,553.$

ამრიგად, სხეულის პროპორციების მნიშვნელობებზე დაყრდნობით ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ სხვადასხვა სომატოტიპები.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი

(შემოვიღა 15.4.1992)

ЭКСПЕРИМЕНТАЛЬНАЯ МОРФОЛОГИЯ

Г. С. ДАНЕЛИЯ, Л. А. НАДАШВИЛИ

ИЗУЧЕНИЕ ПРОПОРЦИИ ТЕЛА НА МУЖСКОМ
КОНТИНГЕНТЕ (от 20 до 55 лет)

Резюме

Общее количество обследованных составило 125 мужчин. Мы определили 26 антропометрических признаков и 14 соотношений частей тела человека. Все антропометрические измерения проводили по методике, принятой НИИ антропологии.

Статистическую обработку полученных данных проводили на персональном компьютере методом вариационной статистики.

Пропорции размеров шеи показали, что у брахиморфных шея короче и толще, чем у долихоморфных. Пропорции грудной клетки показали, что у брахиморфных грудная клетка относительно шире по сравнению с долихоморфными.

EXPERIMENTAL MORPHOLOGY

G. DANELIA, L. NADASHVILI

STUDIES OF BODY PROPORTIONS ON MALE POPULATION
(FROM 20 TO 55 YEARS)

Summary

We have examined 300 persons among them 125 males. All anthropometric measurements were performed after the method adopted at the Anthropometry Research Institute.

Neck size proportions have shown that brachymorphous men have shorter necks than dolychomorphous ones. Chest proportions have shown that brachymorphous men have wider chests than dolychomorphous ones do.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. В. Б. Чтецов. Вопр. антропол., вып. 6, 1961, 113—120.
2. В. Н. Шевкуненко, А. Г. Геселевич. Типовая анатомия человека. Л.—М., 1935.
3. А. И. Ярков. РАЖ. т. 13, вып. 3/4, 1924, 83—102.
4. W. W. Howell. Amer. J. Phys. Anthropol., v. 10, 1952, 91-118.
5. J. Cohen. Nature, v. 144, 1939, 944-945.



მ. ვასაძე, ვ. ჯანელიძე, ბ. რამიშვილი

ფსიქოლოგიური კვლევის შედეგების შემფასება
ავტორიტარული ანალიზის გამოყენებით
(თსსი სტუდენტების მაგალითზე)

(წარმოდგინა აკადემიკოსმა ვ. ოქუჯავამ 17.03.1992)

რესპუბლიკაში სხვადასხვა დაავადებათა ფართო გავრცელება, თვით მედიცინის მუშაკთა ფიზიკური განვითარება და ჯანმრთელობის მდგომარეობის დღევანდელი დონე ნათლად მიგვანიშნებს სტუდენტ-ახალგაზრდობის ფიზიკურ, ფსიქიკურ და ფსიქოფიზიოლოგიურ გამოკვლევათა აქტუალობაზე. ეს გამოკვლევები საფუძვლად უნდა დაედოს სამკურნალო-პროფილაქტიკური საქმიანობის ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებას.

სამედიცინო გამოკვლევები თავდაპირველად უნდა მოხდეს თვით სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტთა მაგალითზე, რადგანაც სწორედ ისინი უნდა გახდნენ მომავალი თაობისა და მთელი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მესაძენი. ასეთი გამოკვლევების აქტუალობა მინიშნებულია რიგ სამეცნიერო-პრაქტიკულ ლიტერატურაში [1, 2].

ჯანმრთელობის დაცვის თანამედროვე სისტემის ძირითადი მიმართულება — პროფილაქტიკა და ცხოვრების ჯანსაღი ყოფის დამკვიდრება უნდა დარჩეს, მაგრამ სინამდვილეში ძირითადი სამედიცინო რესურსები მიმართულია უკვე ავადმყოფი ორგანიზმის მკურნალობისაკენ. მასთან აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ დაავადების უმრავლესობის ქრონიკულ სტადიაში გადასვლა ხშირად დაკავშირებულია ფსიქიკური ფაქტორების ზემოქმედებაზე, რაც ჯეროვნად ვერ ფასდება.

სტუდენტთა ჯანმრთელობის დაცვის მართვის სისტემის მექანიზმს სადღეისოდ არსებითი ხარვეზები გააჩნია: კერძოდ, სასწავლო დაწესებულებებში აღვილი აქვს სამედიცინო, ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური სამსახურების ინერტულობა. პრობლემების წარმატებით გადაჭრაში ერთ-ერთ საკვანძო საკითხს წარმოადგენს მასიური გამოკვლევების ტექნოლოგიისა და მართვის ავტომატიზაცია, რომლის საფუძველზედაც უნდა გაიზარდოს გამოკვლევების რაოდენობა და შედეგების მაღალეფექტურობა, მასთან საჭიროა მაჩვენებლების სისტემების დამუშავება და მათი რანჟირება, ნორმისა და პათოლოგიის ზუსტი მაჩვენებლების შემუშავება ნოზოლოგიური ფორმების, ცალკეული ტესტების შედეგებისა და გამოკვლევების მეთოდების მიხედვით. ტიპური სამედიცინო პროგრამის შექმნა, რომელიც გაითვალისწინებს გამოკვლეულ კონტინენტის სპეციფიკას.

წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილია ჩვენს მიერ ჩატარებული ფსიქოფიზიოლოგიური კვლევის შედეგები სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტებზე. გამოვსვლით სამედიცინო ინსტიტუტის 1989 წელს ჩარიცხული 527 სტუდენტი, აქედან ქალი — 391, ხოლო ვაჟი — 136. ფაქულტეტების მიხედვით გამოკვლეულ სტუდენტთა ეს რაოდენობა ასეთ სურათს გვაძლევს:

- 1. სამკურნალო ფაკულტეტი (ქართული სექტორი) — 124 სტუდენტი (23, 5%).



2. სამკურნალო ფაკულტეტი (რუსული სექტორი) — 111 სტუდენტი (1%).
3. პედაგოგიური ფაკულტეტი — 46 სტუდენტი (8, 7%).
4. სან. ჰიგიენური ფაკულტეტი — 130 სტუდენტი (24, 7%).
5. სტომატოლოგიური ფაკულტეტი — 88 სტუდენტი (16, 7%).
6. ფარმაცევტული ფაკულტეტი — 28 სტუდენტი (5, 3%).

გამოკვლევულ 527 სტუდენტიდან გამოყვავით 3 ასაკობრივი ჯგუფი: 20 წლამდე ასაკის 276 სტუდენტი (52, 4%), 20—24 წლის 240 სტუდენტი (45, 5%), 25 წლისა და მეტის — 11 სტუდენტი (2, 1%).

ფსიქოფიზიოლოგიური კვლევა ორ ეტაპად მიმდინარეობდა: I ეტაპზე გამოვიკვლიეთ 527 სტუდენტი აიზენკის ტემპერამენტის საკვლევი კითხვარით (ამ კითხვარით კვლევა ხდებოდა ავტომატიზებულ რეჟიმში. — 1030-ზე) და ესტებერგის ანკეტით (აქ ხდებოდა დღე-ღამის ბიორითმოლოგიური აქტივობის დადგენა).

II ეტაპზე — „ფფკ-01“ ფსიქოფიზიოლოგიური კომპლექსით და პიროვნების მრავალფაზიანი საკვლევი მეთოდით. ამ ეტაპზე გამოვიკვლიეთ 25 სტუდენტი. სკრინინგის I ეტაპზე ჩვენ ავირჩიეთ 2 მარტივი მეთოდი, რათა სტუდენტთა გადაღლის გარეშე მიგველო ანალიზისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

აიზენკის კითხვარით ვახდენდით ტემპერამენტის ტიპების, ექსტრავერსია-ინტროვერსიისა და ნეიროტიზაციის დონის დადგენას.

ესტებერგის ანკეტით ვადგენდით დღე-ღამის ბიორითმოლოგიური აქტივობის ტიპებს. განვიხილეთ სამი ტიპი — დილის, საღამოს და არითმიული (რომელსაც შეიძლება შერეულიც ვუწოდოთ) ტიპები.

ავტომატიზებული კომპლექსის „ფფკ-01“-ის მეშვეობით მოვახდინეთ ფსიქოფიზიოლოგიური ფუნქციების ყურადღების კონცენტრაციისა და განაწილების მარტივი და რთული სენსომოტორული რეაქციების კვლევა შემდეგი მაჩვენებლების აღრიცხვით: პასუხის სიჩქარის მიხედვით აღმოცენებული მხედველობითი სტიმულების რაოდენობა, 1 სტიმულზე რეაქციის (პასუხის) დრო, დახსომებული რიცხვების რაოდენობა, მარტივი არითმეტიკული ოპერაციების შესრულება განსაზღვრულ დროში. მონაცემების დამუშავების შედეგები მოცემულია ცხრილში.

კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ნეიროტიზაციის მაღალი დონე აღმოჩნდა 527-დან 132 (24,8%) სტუდენტს. აქედან ქალი იყო 108 (81,8%), ვაჟი 24 (18,2%). მათგან 20 წლამდე 75 ქალი (69,5%) და ვაჟი 16 (66,7%), 20—24 წლის 30 ქალი (27,7%) და 8 ვაჟი (33,3%), 25 წლის და მეტის 3 ქალი (2,8%).

ემოციურად სტაბილური აღმოჩნდა 395 (75,2%) სტუდენტი. აქედან 298 ქალი (75,4%) და 97 ვაჟი (24,6%). მათგან 20 წლამდე — 224 ქალი (75,2%) და 76 ვაჟი (78,3%), 20—24 წლის 70 ქალი (26,8%) და 20 ვაჟი (20,6%), 25 წელზე მეტი — 4 ქალი (1,3%) და 1 ვაჟი (1,03%).

სადღეღამისო ბიორითმოლოგიური აქტივობის მიხედვით, რომლის შესწავლასაც შრომითი საქმიანობის დაგეგმარებაში და სასწავლო ცხრილების შედგენაში სტუდენტისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. 315 (59,8%) არითმიულია, 113 (21,4%) — საღამოს ტიპის, 99 (18,8%) — დილის ტიპის. აქედან ემოციურად სტაბილური 395 სტუდენტიდან არითმიულია — 239 (60%), საღამოს ტიპის 78 (20%), დილის ტიპის 78 (20%).

ნეიროტიზაციის მაღალი დონის მატარებელი, ანუ რისკ-პერსონებში (132 სტუდენტში): არითმიულია 72 (54,5%), საღამოს ტიპის 41 (31,1%), დილის ტიპის 19 (14,4%).



გამოკვლევლ სტრუქტურა რაი- დენობა ასაკისა და სქესის მიხედვით			15-19 წელი			20-24 წელი			25-29 წელი			საშუალო			
			სულ	მ	ქ	სულ	მ	ქ	სულ	მ	ქ	სულ	მ	ქ	
ბიოპრობები	ღიღის ტიპები	აბს	43	16	27	53	8	45	3	1	2	99	25	74	
		%	15,6	18,6	14,2	22,1	16,3	23,6	27,3	100	20	18,8	18,4	18,9	
	სღამოს ტიპები	აბს	69	16	53	43	8	35	1	—	1	113	24	89	
		%	25	18,6	27,9	17,9	16,3	18,3	9,1	—	10	21,4	17,6	22,8	
	არითმიკი	აბს	164	54	110	144	33	111	7	—	7	315	87	228	
		%	59,4	62,8	57,9	60	67,4	58,1	63,6	—	70	59,8	64	58,3	
ტიპი ტენდენციები	ნორმოსტენიკი	აბს	74	29	45	66	14	52	—	—	—	140	43	97	
		%	26,8	33,7	23,7	27,5	28,6	27,2	—	—	—	26,6	31,6	24,8	
	სინგურნიკი	აბს	81	27	54	47	16	31	2	—	2	130	43	87	
		%	29,3	31,4	28,4	19,6	32,7	16,2	18,2	—	20	24,7	31,6	22,3	
	ფლუქუატიკი	აბს	51	12	39	51	5	46	4	1	3	106	18	88	
		%	18,5	14	20,5	21,3	10,2	24,1	36,3	100	30	20,1	13,2	22,5	
	მულტიპლიკი	აბს	26	6	20	25	3	22	2	—	2	53	9	44	
		%	9,4	7	10,5	10,4	6,1	11,5	18,2	—	20	10,1	6,6	11,3	
	კოლერიკი	საბ	44	12	32	51	11	40	3	—	3	98	23	75	
		%	16	13,9	16,9	21,2	22,4	21	27,3	—	30	18,5	17	19,1	
	სულ გამოკვლეულია		აბს	276	86	190	240	49	191	11	1	10	527	136	391
			%	52,4	31,2	68,8	45,5	20,4	79,6	2,1	9,1	90,9	100	25,8	74,2

დასკვნები:

1. სტუდენტთა გამოკვლეულ პოპულაციაში (527 კაცი) აღმოჩნდა ადაპტირების საკმაოდ მაღალი დონე (75,2% ემოციურად სტაბილურია).
2. ფსიქოლოგიური რისკ-ფაქტორების მატარებელი სტუდენტების (გამოკვლეულთა 24,8%) უმეტესობა აღმოჩნდა მდებარეობითა სქესის (მ, 8,8%).
3. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით გამოკვლეულ რისკ-პერსონთაგან ყველაზე მრავალრიცხოვანი აღმოჩნდა 16—19 წლის ჯგუფის ორივე სქესის წარმომადგენელი (68,9%).
4. გამოკვლეულ სტუდენტთაგან სჭარბობს სადღეღამისო ბიორითმული აქტივობის შერეული ტიპი (54,5%).
5. გამოკვლეულ რისკ-პერსონთაგან ასევე სჭარბობს სადღეღამისო ბიორითმული აქტივობის შერეული ტიპი (54,5%).
6. სადღეღამისო ბიორითმული აქტივობის დილის ტიპი თანაბრად არის წარმოდგენილი ემოციურად სტაბილურ და ნეიროტიზაციის მაღალი დონის მქონე სტუდენტთა ჯგუფებში.
7. განსხვავებით შერეული და დილის ტიპისაგან ბიორითმული აქტივობის საღამოს ტიპი სტატისტიკური სანდობით ანსხვავებს ემოციურად სტაბილური (20%) და ნეიროტიზაციის მაღალი დონის მქონე (31,1%) სტუდენტთა ჯგუფებს (0,01).
8. აქედან გამომდინარე უნდა ვიფიქროთ, რომ სადღეღამისო ბიორითმული აქტივობის საღამოს ტიპი წარმოადგენს პიროვნების ნეიროტიზაციის რისკ-ფაქტორს იმ შემთხვევაში თუ სტუდენტთა შრომითი საქმიანობის განრიგი სასწავლო ცხრილების სახით დაუმორჩილებია იმ სოციალურ რიტმს რომლის მიხედვითაც დღეს არ ხერხდება დიფერენცირებული მიდგომა სასწავლო პროცესისადმი.

ჩატარებული კვლევის შედეგებმა დაგვანახა, რომ სტუდენტთა პოპულაციების ინდივიდუალური და პიროვნული თავისებურებების შესწავლა ნათლად წარმოაჩენს სარეზერვო შესაძლებლობების დონეს, რომელიც განაპირობებს მათი ადაპტირების უნარს სასწავლო პროცესთან და უზრუნველყოფს აზროვნების პარამონიული განვითარების პირობებს, რის მკვეთრ საჭიროებას განიცდის დღეს ჩვენი საზოგადოება. გარდა ამისა, სტუდენტთა უშუალო მონაწილეობა პროფილაქტიკური კვლევების ტექნოლოგიურ პროცესში ხელს შეუწყობს მათ აღზრდას, იმ სულისკვეთებით, რომ „კარგი ექიმი იმის ვისაც ცოტა ავადმყოფი ყავს“.

თბილისის სახელმწიფო
 სამედიცინო ინსტიტუტი

(შემოვიღა 20.3.1992)

ЭКСПЕРИМЕНТАЛЬНАЯ МЕДИЦИНА

О. Г. ВАСАДЗЕ, Ц. ДЖАНЕЛИДЗЕ, Б. Г. РАМИШВИЛИ

ОЦЕНКА РЕЗУЛЬТАТОВ ПСИХОФИЗИОЛОГИЧЕСКОГО ИССЛЕДОВАНИЯ С ИСПОЛЬЗОВАНИЕМ АВТОМАТИЗИРОВАННОГО АНАЛИЗА (на примере студентов Тбилгосмедицинститута)

Резюме

На основании автоматизированного доврачебного психофизиологического обследования студентов выявлено, что из 527 обследован-

ნых 71,3% эмоционально стабильны. 28,7% — не стабильны, т. е. являются носителями психических риск-факторов. Довольно высока частота распространенности психических риск-факторов у студентов в возрасте до 20 лет (61%), среди них большинство женского пола (82%). Из суточных биоритмологических типов наиболее высока частота распространенности аритмических типов (59,8%).

Рекомендовано комплексное обследование всех студентов института с использованием автоматизированной системы диспансеризации.

EXPERIMENTAL MEDICINE

O. VASADZE, Ts. JANELIDZE, B. RAMISHVILI

EVALUATION OF THE RESULTS OF PSYCHO-PHYSIOLOGICAL INVESTIGATION USING AUTOMATIZED ANALYSIS (ON THE EXAMPLE OF THE TBILISI MEDICAL INSTITUTE STUDENTS)

Summary

The automatized pre-medical psycho-physiological investigation revealed that out of 527 investigated students 71,3% were emotionally stable, 28,7%—unstable, i. e. with psychic risk-factors. The evidence also showed that psychic risk factors were more frequent in students under 20 (61%), mostly females (82%). Out of daily biorhythmic types, arrhythmic types were most frequent.

Recommended: Complex investigation of all students of the Institute using automatized systems.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. Г. Ш. Васадзе, И. Михель, Г. Г. Думбадзе. Метод системно-аналитических психофизиологических исследований в медицине. Тбилиси, 1986.
2. Методические указания по организации и проведению медицинского отбора абитуриентов и профилактических медицинских осмотров студентов высших и средних специальных учебных заведений. Главное управление лечебно-профилактической помощи Минздрава СССР, № 3167 от 19.11.84.

ა. ბაღატიანი, ი. ზურაბიშვილი, ნ. მუხომბე, ბ. ბაღატიანი,
 ბ. თაბატაძე

თბილისის ღია ადგილების რადიაციული ფონით გაპირობებული
 სტოქასტური ეფექტების პროგნოზირება

(წარმოდგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა თ. დეკანოზიძემ 31.01.1992)

ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასებისას მეცნიერთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს გარემოს დაბინძურება მაიონიზირებელი გამოსხივების წყაროებით. რადიობიოლოგიური ეფექტები, მისი სომატური, ტერატოგენული, კანცეროგენული და გენეტიკური მოქმედება მაიონიზირებელი გამოსხივების დიდი დოზებით მოქმედების დროს საკმაოდაა შესწავლილი, მაგრამ მცირე დოზების გავლენა ჯერ კიდევ ნაკლებად შესწავლილი სფეროა და ამ მიმართულებით მიმდინარეობს ექსპერიმენტული, კლინიკური, ეპიდემიოლოგიური და სხვა კვლევები, ვინაიდან მაიონიზირებელი გამოსხივების მცირე დოზების ბიოლოგიური მოქმედების სრული შეფასებისათვის ჯერ კიდევ არ არსებობს საკმარისი ექსპერიმენტული მონაცემები, იმ მიზნით, რომ მიინფორმირდეს იყოს დაყვანილი რისკი, გამოწვეული ასეთი დოზების მოქმედებით. გამომდინარე დიდი დოზების რადიობიოლოგიური ეფექტებიდან, დაშვებულია „დოზა-ეფექტის“ წრფივი დამოკიდებულების ჰიპოთეზა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გამოსხივების ნებისმიერი დოზა, რა მცირეც არ იყოს იგი, მავნეა ორგანიზმისათვის. ამ ჰიპოთეზით თვით ბუნებრივი რადიაციული გამოსხივებაც კი არ არის უვნებელი. ამ მავნეობას ძირითადად განიხილავენ სტოქასტური ეფექტების განვითარების თვალსაზრისით, განსაკუთრებით ავთვისებიანი სიმსივნეებისა და გენეტიკური დეფექტების განვითარების სახით.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, ჩვენ შევძელით სტატისტიკური ანალიზით შეგვეფასებინა თბილისის ღია ადგილების რადიაციულ ფონთან დაკავშირებული ისეთი შორეული სტოქასტური ეფექტები, როგორცაა ავთვისებიანი სიმსივნეები და გენეტიკური დეფექტები. ამისათვის ვისარგებლეთ რადიოლოგიური დაცვის საერთაშორისო კომისიის მიერ მოწოდებული მეთოდით [1].


რადიაციული ფონი გაზომილ იქნა თბილისის 261 წერტილში დოზიმეტრით РСП—68—01. გაანგარიშებაში შეტანილია 522 რიცხვი, თითოეული წერტილის მაქსიმალური და მინიმალური მაჩვენებელი.

ფონური დასხივების საშუალო $\langle D \rangle$ და კოლექტიური S დოზის სიმძლავრე გამოითვლებოდა ფორმულით:

$$\langle D \rangle = \int_0^{\infty} DW(D) dD, \quad S = N \langle D \rangle; \quad (1)$$

სადაც $W(D)$ — დოზის სიმძლავრის ალბათობის განაწილების სიმკვრივეა, N — გამოსაკვლევი ობიექტთა საერთო რიცხვი, რაც ჩვენ შემთხვევაში იქნება თბილისის მოსახლეთა საერთო რაოდენობა. (იგი მოსახლეობის უკანასკნელი აღწერის მიხედვით შეადგენს 1 200 000 ადამიანს).

როგორც აღვნიშნეთ, $\langle D \rangle$ და S სიდიდეების შეფასება მოითხოვს ალბათობის სიმკვრივის განაწილების ფუნქციის დადგენას. ამ მიზნით აგებული იქნა წლიური დოზის სიმძლავრის ჰისტოგრამა ჩვენ მიერ 1991 წელს ჩატარებული გაზომვების მიხედვით. (სურ. 1).



სურ. 1. თბილისის რადიაციული ფონის სიმძლავრის 1991 წლის ექსპერიმენტული მონაცემების ჰისტოგრამის აპროქსიმაცია ვებულის ინტეგრალური განაწილების კანონით

ექსპერიმენტული მონაცემების აპროქსიმაცია კარგად აღიწერება ვებულის ინტეგრალური განაწილების ფუნქციით, რომელსაც აქვს სახე:

$$F(D) = 1 - \exp(-D\sigma)^c, \quad (2)$$

სადაც σ — საშუალო კვადრატული გადახრაა, c — რიცხვითი პარამეტრია. მოცემული ფუნქცია შემოთავაზებული იყო უკრაინელი მეცნიერების მიერ [2].

როგორც სურ. 1-დან ჩანს ვებულის განაწილების კანონი კარგ თანხვედრაშია დოზის სიმძლავრეების სრულ ინტერვალში წლიური დოზის სიმძლავრის ჰისტოგრამასთან. დოზის სიმძლავრის ე. წ. სტატისტიკური საშუალო გამოითვლება ფორმულით:

$$\langle D \rangle = \sigma c \int_0^{\infty} X^c \exp(-X^c) dX = \sigma \Gamma[(c+1)/c]. \quad (3)$$

სადაც c პარამეტრის მნიშვნელობაა $c = 0,55$.

(3) ფორმულის საშუალებით თუ შევაფასებთ საშუალო წლიური დოზის სიმძლავრეს, მივიღებთ:

$$\langle D \rangle = (0,000712 \pm 0,000107) \text{ ზივერტი/წელი} = (71,2 \pm 10,8) \text{ მ. ბერი/წელი}. \quad (4)$$

საშუალო დოზის სიმძლავრის შეფასება გვაძლევს საშუალებას (1) ფორმულის გამოყენებით გამოვთვალოთ საშუალო კოლექტიური დოზის სიმძლავრე. თბილისის მოსახლეობის საერთო რიცხვისათვის $N \approx 1200000$ კოლექტიური დოზის სიმძლავრე შეადგენს:

$$S = N \langle D \rangle = 85470 \text{ ადამიანი სანტიზივერტი/წელი}. \quad (5)$$

ბიოლოგიური ეფექტების დასხივების დოზაზე წრფივი დამოკიდებულების კონცეფცია გვაძლევს საშუალებას რადიოლოგიური დაცვის საერთაშორისო კომისიის მიერ მოწოდებული რისკის პარამეტრების საფუძველზე [4] გან-



ვსაზღვროთ თბილისის მოსახლეობისათვის ბიოლოგიური სტოქასტური (ალბათური) ეფექტების დამახასიათებელი პარამეტრები, როგორცაა: ავთვისებიანი სიმსივნეებით სიკვდილის საშუალო ინდივიდუალური ალბათობა R_c შთამომავლობითი გენეტიკური დეფექტების განვითარების საშუალო ინდივიდუალური ალბათობა R_g , სრული რისკის პარამეტრი $R = R_c + R_g$ და ავთვისებიანი სიმსივნის შესაძლო ლეტალური და გენეტიკური ეფექტების მატარებელ პირთა სრული რიცხვი K . ამ პარამეტრების გამოთვლა ითვალისწინებს, რომ დასხივებას განიცდის მთელი სხეული თანაბრად და გამოითვლება ფორმულით:

$$R_c = P_c(D), R_g = P_g(D), K = HS, \quad (6)$$

სადაც კოეფიციენტებს აქვს შემდეგი მნიშვნელობები:

$$P_c = 1,25 \cdot 10^{-2} \text{ ზე}^{-1}, P_g = 0,4 \cdot 10^{-2} \text{ ზე}^{-1}, H = 165 \cdot 10^{-4} \text{ ადამ. ზე}^{-1}.$$

რისკის პარამეტრების მიღებული შედეგები მოყვანილია ცხრილში.

ცხრილი			
R_c	R_g	R	K
$8,9 \cdot 10^{-6}$	$2,8 \cdot 10^{-6}$	$1,17 \cdot 10^{-5}$	13

ამგვარად, თბილისის ღია ადგილების რადიაციული ფონით გაპირობებული შესაძლო მავნე ბიოლოგიური ეფექტების პროგნოზირებამ გვიჩვენა, რომ თბილისის მოსახლეობაში ავთვისებიანი სიმსივნეებისა და გენეტიკური დეფექტების განვითარების ალბათობა (რისკი) ძალიან მცირეა: $8,9 \cdot 10^{-6}$ და $2,8 \cdot 10^{-6}$ შესაბამისად, ხოლო სრული რისკი — $1,17 \cdot 10^{-5}$. ავთვისებიან სიმსივნეთა და გენეტიკური დეფექტებით გაპირობებული სიკვდილიანობა კი 1200000 მოსახლეზე შეადგენს 13 ადამიანს. ამასთან, როგორც ცნობილია, $1/3$ — გენეტიკური დეფექტებითაა გაპირობებული და უდრის 4-ს, დანარჩენი — $2/3$ ავთვისებიანი სიმსივნეებით შეადგენს 9-ს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მცირე დოზების ფარგლებში მრუდი „დოზა-ეფექტი“ მცირედმაიონიზირებელი გამოსხივებისათვის, რომელსაც ძირითადად მიეკუთვნება ღია ადგილების გამოსხივება, ატარებს არა წრფივ, არამედ წრფივ-კვადრატულ ხასიათს. ამიტომ ზემომოყვანილი გაანგარიშებები, რომელიც დაწყებულია „დოზა — ეფექტის“ წრფივი დამოკიდებულების ჰიპოთეზაზე, გამოთვლილია მეტბოთ და სინამდვილეში რისკი (ალბათობა) გაცილებით ნაკლებია. ძალიან მცირე დოზების ფარგლებში, კერძოდ, როგორც რადიაციული ფონია, შესაძლოა — 4—5 ჯერ.

გაეროს სამეცნიერო კომიტეტის უკანასკნელი მონაცემებით [5] დაბალი სიმძლავრის მცირე დოზების მოქმედების პირობებში შემცირების ფაქტორი, რომელიც უნდა გამოვიყენოთ, ტოლია 2—10-ის.

ამგვარად, თუ ვისარგებლებთ წრფივ-კვადრატული დამოკიდებულების ჰიპოთეზით, მაშინ თბილისის ღია ადგილების რადიაციული ფონით გამოწვეული ავთვისებიანი სიმსივნეების რიცხვი შეიძლება 1—2 შემთხვევით შემოიფარგლოს, ხოლო გენეტიკური — 1-მდე დავიდეს.

ზემომოყვანილი ანალიზი უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ თბილისის ღია ადგილების რადიოეკოლოგიური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი



ЭКСПЕРИМЕНТАЛЬНАЯ МЕДИЦИНА

К. Д. ГЕЛАШВИЛИ, О. А. ЗУРАБИШВИЛИ, Н. Р. ВЕПХВАДЗЕ, Г. А. БЕГЕЛУРИ,
Г. Р. ТАВАРТКИЛАДЗЕ

ПРОГНОЗИРОВАНИЕ СТОХАСТИЧЕСКИХ ЭФФЕКТОВ,
ОБУСЛОВЛЕННЫХ РАДИАЦИОННЫМ ФОНОМ ОТКРЫТОЙ
МЕСТНОСТИ ТБИЛИСИ

Резюме

Дана оценка средних и коллективных доз облучения населения Тбилиси, вызванного радиационным фоном открытой местности. Рассчитаны параметры риска смерти от дополнительных злокачественных новообразований, генетических дефектов и определено число случаев отдаленных возможных стохастических эффектов.

Полученные результаты указывают, что экологическая обстановка открытой местности Тбилиси по радиационному фону удовлетворительная.

EXPERIMENTAL MEDICINE

K. GELASHVILI, O. ZURABISHVILI, N. VEPKHVADZE, G. BEGELURI,
G. TAVARTKILADZE

PROGNOSTICATION OF STOCHASTIC EFFECTS PRODUCED
BY BACKGROUND RADIATION OF OPEN DISTRICTS
OF TBILISI

Summary

Average and collective powers of doses of irradiation of population of Tbilisi provoked by the background radiation have been evaluated. Parameters of mortal risk produced by additional malignant tumours, genetic defects have been calculated, as well as the number of possible remote stochastic effects.

The results obtained show that as to the background radiation ecological conditions are satisfactory, in open districts in Tbilisi.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. Радиационная защита. Публикация МКРЗ, № 26, 1978.
2. И. Н. Романова, В. Я. Голиков, И. Н. Колоний, С. М. Гринберг и др. Мед. радиол., № 11, 1984, 62—66.
3. Fabricant J. I. She BEIR III Controversy. Radiac. Res. 1980, 84, 3, p. 361—368.
4. Р. Латаржа, М. Тюбиана. Мед. радиол., № 7, 1990, 35—38.
5. Доклады НКДАР ООН за 1988 г. Нью-Йорк, 1988, 647.



3. ჟივიანი, ო. ხულუზაური, ძ. ლავაზიშიძე

ერიტროციტების ოსმოსური რეზისტენტობა ერლიხის კარცინომის ზრდის დინამიკაში

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა თ. დეკანოსიძემ 20.1.1992)

ცნობილია, რომ სიმსივნურ ზრდას თან სდევს ანემია, რომლის კონკრეტული მექანიზმი ჯერ კიდევ დაუდგენელია [1—3]. ამგვარი ანემიის ერთ-ერთ მიზეზს შეიძლება წარმოადგენდეს ერიტროციტების გარსის ცვლილებებთან დაკავშირებული ერიტროდიერეზი. აქედან გამომდინარე ერიტროციტების რეზისტენტობის შესწავლა სიმსივნური ზრდის დროს ფრიად აქტუალურად გვესახება. ამიტომ, წინამდებარე სამუშაოში ჩვენ გადაწყვიტეთ შეგვესწავლა ერიტროციტების მემბრანების ოსმოსური რეზისტენტობა სიმსივნური ზრდის პროცესში.

ექსპერიმენტი ჩავატარეთ 80 ლაბორატორიულ თავვეზე, რომელთაც კანქვეშ გადენერგებოდათ ერლიხის კარცინომა. გამოკვლევები ტარდებოდა სიმსივნის გადენერგვიდან მე-2, მე-7, მე-14 და 21-ე დღეს. სისხლის აღებას ვაწარმოებდით ზოგადი გაუტყვიარების პირობებში. ანტიკოაგულანტად გამოვიყენეთ ჰეპარინი (20 ერთეული 1 მლ სისხლზე).

ერიტროციტების ოსმოსურ რეზისტენტობას ვსაზღვრავდით ჰემოლიზის დიფერენციალური მრუდების საშუალებით, რომელიც მიიღებოდა უშუალოდ ფოტომეტრიების პროცესში ერიტროციტების სუსპენზიაში გამოხდილი წყლის თანდათანობით, მუდმივი სიჩქარით შეყვანის გზით [4]. წყლის შეყვანის სიჩქარე იყო 1,30 მლ/წთ. სუსპენზიაში უჯრედების რაოდენობის ნორმირებას (1000 უჯრედი მკლ-ში) ვაწარმოებდით ოპტიკური სიმკვრივის ($D=0,70$) მიხედვით 20°C ტემპერატურაზე.

მახასიათებელ სიდიდედ შერჩეულ იქნა:

1. T (წმ.) — ერიტროციტების სუსპენზიაში წყლის შეყვანის მომენტიდან ჰემოლიზის მაქსიმალური სიჩქარით განვითარების მომენტამდე გასული დრო, რომელიც გამოხატავს უჯრედების საშუალო ოსმოსურ მდგრადობას.

2. H (ობტიკური ერთეული წმ) — ჰემოლიზის დიფერენციალური მრუდის სიმაღლე — გამოხატავს უჯრედების დაშლის ინტენსიურობას.

3. L (წმ) — ჰემოლიზის დიფერენციალური მრუდის ნახევარსივანე — გამოხატავს ერიტროციტების სუსპენზიის პეტეროგენულობას.

ექსპერიმენტში მიღებული მონაცემების დამუშავებას ვახდენდით პროგრამირებულ მიკროკალკულატორზე (mik—54) სტატისტიკური პროგრამების გამოყენებით [5].

ექსპერიმენტების შედეგად (ცხრილი 1) დადგინდა იქნა, რომ ერლიხის კარცინომის ზრდის პროცესში ადგილი აქვს ერიტროციტების ოსმოსური რეზისტენტობის შემცირებას. ერიტროციტების ოსმოსური მდგრადობა სტატისტიკურად საიმედოდაა შემცირებული ($P<0,001$) სიმსივნის გადენერგვიდან მე-7, მე-14, და 21-ე დღეს. აღნიშნული დღეებისათვის უჯრედების საშუალო ოსმოსური მდგრადობა ნორმასთან შედარებით შესაბამისად შემცირებულია 1,75, 1,41 და 1,23-ჯერ.


ერთორციტების ოსმოსური რეზისტენტობის მახასიათებელი სიდიდეები ერლიხის კარცინომის ზრდის დინამიკაში ($M \pm m$) და S.

პარამეტრები	T (წმ)	H (ობტ \times წმ ⁻¹)	L (წმ)
0 ნორმა	161 \pm 2 13	0,021 \pm 0,001 0,003	68 \pm 2 11
1 გადანერგვიდან მე-2 დღე	156 \pm 2 5	0,022 \pm 0,001 0,003	66 \pm 1 3
2 მე-7 დღე	92 \pm 5 23	0,022 \pm 0,001 0,003	62 \pm 2 12
3 მე-14 დღე	114 \pm 3 11	0,020 \pm 0,001 0,003	79 \pm 4 12
4 21-ე დღე	131 \pm 3 9	0,018 \pm 0,001 0,002	82 \pm 2 5

$P_{1-0} -$ — $P_{1-0} -$ — $P_{1-0} -$
 $P_{2-0} < 0,001$ $P_{2-0} -$ $P_{2-0} -$
 $P_{3-0} < 0,001$ $P_{3-0} -$ $P_{3-0} < 0,02$
 $P_{4-0} < 0,001$ $P_{4-0} < 0,01$ $P_{4-0} < 0,001$

Pik — სტატისტიკური საიმედობა.

სიმსივნის გადანერგვიდან მე-2 დღისათვის ერთორციტების ოსმოსური რეზისტენტობა არ იცვლება, რაც მიუთითებს იმაზე, რომ გადანერგვიდან მე-7 დღეს გამოვლენილი ცვლილებები დაკავშირებულია სიმსივნური პროცესის განვითარებასთან და არა ცხოველის ორგანიზმის რეაქციასთან ქირურგიული ზემოქმედების (სიმსივნის გადანერგვის) მიმართ.



სურ. 1. ერთორციტების ოსმოსური ჰემოლიზის დიფერენციალური მრღლები ერლიხის კარცინომის ზრდის დინამიკაში: 1—ნორმა; 2—გადანერგვიდან მე-7 დღე; 3—გადანერგვიდან მე-14 დღე; 4—გადანერგვიდან 21-ე დღე. ორდინატოა ღერძზე გადახრილია ოპტიკური სიმკვრივის ცვლილებებს სიწვარე

სიმსივნის გადანერგვიდან 21-ე დღეს, ნორმასთან შედარებით სტატისტიკურად საიმედოდაა შეცვლილი H ($P < 0,01$) და L ($P < 0,001$) პარამეტრები. 14. „მოამბე“, ტ. 146, № 2, 1992

აღსანიშნავია, რომ ერიტროციტების სუსტენზიის პეტროგენულობის ცვლილებების ტენდენცია შეიმჩნევა უკვე გადანერგვიდან მე-7 დღეს.

ამრიგად, მიღებული შედეგების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ:

1. სიმსივნური ზრდის პროცესში ერიტროციტების ოსმოსური რეზისტენტობა ქვეითდება.

2. ერიტროციტების ოსმოსური მდგრადობის შემცირების პიკი აღინიშნება გადანერგვიდან მე-7 დღეს.

ერიტროციტების ოსმოსური რეზისტენტობის ცვლილებებზე დაკვირვება დინამიკაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სიმსივნური პროცესის განვითარების ფაზის განსაზღვრის დამატებით დაგნოსტიკურ ტესტად.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი

(შემოვიდა 3.2.1992)

ЭКСПЕРИМЕНТАЛЬНАЯ МЕДИЦИНА

В. А. КИПИАНИ, О. В. ХУЛУЗАУРИ, К. Г. ГАМБАШИДЗЕ

ОСМОТИЧЕСКАЯ РЕЗИСТЕНТНОСТЬ ЭРИТРОЦИТОВ В ДИНАМИКЕ РОСТА КАРЦИНОМЫ ЭРЛИХА

Резюме

В динамике роста перевитой карциномы Эрлиха оригинальным дифференциальным методом у мышей исследовалась осмотическая резистентность эритроцитов.

Установлено, что осмотическая резистентность эритроцитов меняется уже на ранних стадиях роста опухоли. Характер этих изменений может служить дополнительным диагностическим тестом для установления стадии опухолевого роста.

EXPERIMENTAL MEDICINE

V. KIPIANI, O. KHULUZAUURI, K. GAMBASHIDZE

OSMOTIC RESISTANCE OF ERYTHROCYTES IN CASE OF ERLICH CANCER INCREASE

Summary

Osmotic resistance of erythrocytes was studied in mice by the original differential method in dynamics of increase of transplanted Erlich cancer.

It's proved that osmotic resistance of erythrocytes changes on the early stage of cancer increase. The nature of these alterations can be used as an additional diagnostic test to establish the stage of cancer increase.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. В. Прайс, Р. Гринфельд. В кн.: «Успехи в изучении рака». М., 1960, 374—472.
2. Г. Фридел. VIII Международный противораковый конгресс. Труды, т. 3. М., 1963, 507—509.

3. Ch. Chaimoff, P. Fishman, J. Hart, M. Djaldetti. J. Submicrosc. Cytol., vol. 3, 1985, 465—468.
4. И. Ш. Зедгенидзе, О. В. Хулузаури, И. Л. Яковлев. Способ определения резистентности эритроцитов. А. с. СССР № 1411669.
5. В. А. Костюченко, А. М. Литвяков, И. В. Козловский. Лаб. дело, № 4, 1987, 310—313.

ნ. ელიზულაშვილი, მ. გიგინეიშვილი

მანგანუმის მოქმედება ძალთა რეპროდუქციულ სისტემაზე

(წარმოდგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ნ. ტატიშვილმა 14.5.1992)

მრავალი ქიმიური ნივთიერებებიდან, რომლებიც აბინძურებენ წარმოების პარს და ცუდად მოქმედებენ ადამიანის ორგანიზმზე [1, 2], განსაკუთრებული ადგილი უკავია მანგანუმს და მის შენაერთებს. მანგანუმით მოწინავე მრავალფეროვან კლინიკურ სურათში, სხვა სიმპტომებთან ერთად [3, 4] მნიშვნელოვანია სასქესო ფუნქციის მოშლა (Мак Нелли, 1937), რაც არაერთხელ არის დამტკიცებული ექსპერიმენტებში [5, 6]. ზოგიერთი ავტორი მიუთითებს კალიუმის პერმანგანატის ჰონადოტროპულ, ემბრიოტროპულ და მუტაგენურ უნარზე, აგრეთვე მანგანუმის შენაერთების სპეციფიკურ მოქმედებაზე სასქესო სისტემაზე [7—10]. ექვს ადარ იწვევს ის ფაქტორი, რომ ქალის ორგანიზმის სპეციფიკური ფუნქციები არიან ყველაზე მგრძობიარენი სარეპროდუქციო გარემოს მაგნე ზემოქმედების მიმართ [11—13]. ამიტომ მანგანუმის მარეწვლობაში მომუშავე ქალებში სასქესო ორგანოების დაავადებების შესწავლა და შეფასება შრომის პირობებთან დამოკიდებულებაში არის აქტუალური და ხელს შეუწყობს ეფექტური გამაჯანსაღებელი ღონისძიებების შემუშავებას.

წინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა ქ. ზესტაფონის ფეროშენადნობი და ქ. რუსთავეის აოტქარხნებში მომუშავე ქალებში გინეკოლოგიური პათოლოგიის გავრცელების და სტრუქტურის გამოკვლევა და მათი შესაძლო დამოკიდებულების გამოკვლევა მანგანუმის ზემოქმედებასთან.

გამოკვლევულ იქნა 384 ქალი ქ. ზესტაფონის ფეროშენადნობ და რუსთავეის აოტქარხნებში მომუშავე, რომლებსაც ჰქონდათ კონტაქტი მანგანუმთან. ქალების ასაკი ცვალებადობდა 22—64 წლამდე. საკონტროლო ჯგუფი შედგენილ იქნა ქ. თბილისის № 15 ქალთა კონსულტაციაში აღრიცხვებ მყოფ 4191 ქალისაგან.

გამოკვლევის კომპლექსში შედიოდა ანამნეზის შეკრება, ობიექტური და გინეკოლოგიური გამოკვლევა, კოლპოსკოპია, კოლპოციტოლოგია, ბაზალური ტემპერატურის, „გუგის“ ფენომენის, ყელის ლორწოს კრისტალიზაციის შესწავლა.

გინეკოლოგიური პათოლოგიის გავრცელების შედარებითმა ანალიზმა მანგანუმთან კონტაქტში მყოფ ქალებსა და საკონტროლო ჯგუფებს შორის ვეჩვენა, რომ გენიტალური სისტემის ამა თუ იმ პათოლოგიით აღმოჩნდა: ქ. ზესტაფონში — 42%, ქ. რუსთავეში — 41%, საკონტროლო ჯგუფში — 0,45%. როგორც ცხრილიდან ჩანს, იმ ქალებში, რომლებიც განიცდიდნენ მანგანუმის ზემოქმედებას, გენიტალური სისტემის პათოლოგია ვაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე საკონტროლო ჯგუფში. აღსანიშნავია, რომ ქ. ზესტაფონში პათოლოგია ისეთივე ხშირია, როგორც ქ. რუსთავეში.

გინეკოლოგიური პათოლოგიის სტრუქტურაში, როგორც ქ. ზესტაფონში ასევე ქ. რუსთავეში ყველაზე ხშირად აღინიშნებოდა საშვილოსნოს დანამატების და საშის ანთებები — შესაბამისად 62,26% და 45,87%. ქ. ზესტაფონში

გენიტალური პათოლოგია განაწილდა შემდეგნაირად: ანთებები — 62,26%, დამკიმბებული სამეანო ანამნეზი — 22,64%, საშვილოსნოს მიომა — 18,87%, თვითნებითი აბორტები — 13,2%, პირველადი უშვილობა — 13,2%, საშვილოსნოს ყელის ეროზია — 7,5%, მენსტრუალური ციკლის დარღვევები — 7,5%.

ქ. რუსთავში გვქონდა შემდეგი სურათი: საშვილოსნოს დანამატების და საშოს ანთება — 45,87%, საშვილოსნოს მიომა — 24,5%, საშვილოსნოს ყელის ეროზია — 22%, თვითნებითი აბორტები — 21,1%, დამკიმბებული სამეანო ანამნეზი — 16,5%, მენსტრუალური ციკლის დარღვევები — 11,9%, პირველადი უშვილობა — 4,6%, ხშირად ორივე ქარხანაში ადგილი ჰქონდა კომბინირებულ პათოლოგიას.

ქ. თბილისის № 15 ქალთა კონსულტაციის მონაცემებით, სადაც ქალებს არ ჰქონდათ მანგანუმთან კონტაქტი, საშვილოსნოს დანამატების და საშოს ანთებები აღენიშნებოდათ 0,14%, საშვილოსნოს ყელის ეროზია — 0,14%, საშვილოსნოს მიომა — 0,095%, დამკიმბებული სამეანო ანამნეზი — 0,002%; თვითნებითი აბორტები — 0,02%.

გინეკოლოგიური პათოლოგიის სტრუქტურა

ქ. ზესტაფონის ფეროშენადნობ, ქ. რუსთავის აზოტქარხნების და ქ. თბილისის № 15 ქალთა კონსულტაციის მონაცემებით.

გენიტალური პათოლოგია	ზესტაფონი	რუსთავი	თბილისი
საშვილოსნოს დანამატებისა და საშოს ანთება	62,26%	45,87%	0,14%
საშვილოსნოს ყელის ეროზია	7,5%	22%	0,14%
საშვილოსნოს მიომა	18,87%	24,5%	0,095%
დამკიმბებული სამეანო ანამნეზი	22,64%	16,5%	0,02%
მენსტრუალური ციკლის დარღვევები	7,5%	11,9%	0
ამენორეა	0	21,43%	
ჰიპერპოლიმენორეა	42,86%	14,29%	
ალგოდისმენორეა	57,14%	64,28%	
თვითნებითი აბორტები	13,2%	21,1%	0,02%
პირველადი უშვილობა	13,2%	4,6%	0

თუ უფრო დაწვრილებით გადავხედავთ მენსტრუალური ციკლის დარღვევებს, გამოჩნდება, რომ როგორც ქ. ზესტაფონში, ასევე ქ. რუსთავში მენსტრუალური ციკლის დარღვევებიდან სჭარბობდა ალგოდისმენორეა 57,14%, და 64,28%, მეორე ადგილზე ქ. ზესტაფონში იყო ჰიპერპოლიმენორეა — 42,86%, ხოლო რუსთავში — ამენორეა — 21,43%, შემდეგ ქ. რუსთავში გვხვდება ჰიპერპოლიმენორეა — 14,29%. ქ. ზესტაფონში ჩვენს მიერ გამოკვლეულ ქალებში ამენორეას ადგილი არ ჰქონია, ხოლო ქ. თბილისში № 15 ქალთა კონსულტაციის მონაცემებით, 4191 ქალთა შორის მენსტრუალური ციკლის დარღვევას ადგილი საერთოდ არ ჰქონია.

დასკვნაში უნდა აღნიშნოთ, რომ გენიტალური პათოლოგია მანგანუმთან კონტაქტში მყოფ ქალებში გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე საკონტროლო ჯგუფში: გენიტალური პათოლოგია ქ. ზესტაფონის ფეროშენადნობ ქარხანაში ისეთივე მაღალია, როგორც ქ. რუსთავის აზოტქარხანაში; გინეკოლოგიური პათოლოგიის სტრუქტურაში ორივე ქარხანაში პირველი ადგილი უკავია საშვი-

ლოსნოს დანამატების და საშოს ანთებებს; ქ. ზესტაფონის ფეროშენადნობ ქარხანაში შესამჩნევად უფრო მაღალია საშვილოსნოს დანამატების და საშოს ანთებების და პირველადი უშვილობის სიხშირე, ხოლო ქ. რუსთავეში — საშვილოსნოს ყელის ეროზიისა და თვითნებითი აბორტების შემთხვევები.

თბილისის სახელმწიფო
 სამედიცინო ინსტიტუტი
 № 2 სამშობიარო სახლი

(შემოვიდა 20.5.1992)

ЭКСПЕРИМЕНТАЛЬНАЯ МЕДИЦИНА

Н. М. ЭЛИГУЛАШВИЛИ, М. М. ГИГИНЕИШВИЛИ

ВОЗДЕЙСТВИЕ МАРГАНЦА НА РЕПРОДУКТИВНУЮ СИСТЕМУ ЖЕНЩИН

Резюме

Были обследованы 384 женщины, работающие на Зестафонском ферросплавном и Руставском азотзаводах, которые контактировали с марганцем. Контрольную группу составили женщины (4191), находящиеся на учете в № 15 женской консультации города Тбилиси. Оказалось, что генитальная патология среди женщин, имеющих контакт с марганцем, гораздо выше, чем в контрольной группе. В структуре гинекологической патологии на обоих заводах на первом месте стояло воспаление придатков матки и влагалища.

EXPERIMENTAL MEDICINE

N. ELIGULASHVILI, M. GIGINEISHVILI

THE MANGANESE INFLUENCE ON THE FEMALE REPRODUCTIVE SYSTEM

Summary

394 women, working in Zestaphoni ferroalloy and Rustavi nitrogen plants, who have contact with manganese, were examined.

The control group was composed of 4191 women, being on the registration in N 15 women consultation clinic in Tbilisi. It turned out that the genital pathology in women having contact with manganese was rather higher than in control group. In both plants the inflammatory disease of female genitalia occurred in the first place.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. М. Н. Рыжкова. Автореферат канд. дисс. М., 1956.
2. ბ. ელიგულაშვილი, ლ. გომელაური, თ. შალამბერიძე, ა. შენგელია, მ. მალაქელიძე.
 Сб. трудов НИИ санитарии и гигиены МЗ ГССР, т. 4, 1965, 19—29.
3. К. Н. Зариадзе, Г. С. Данелия, Л. К. Гегия, Л. И. Джимшелишвили. Материалы I съезда акушеров-гинекологов ГССР. Тбилиси, 1974, 18—19.

4. В. А. Хубутня. Гигиена труда и профзаболевания, 8, 1964, 39—41.
5. K. W. Titus, H. Cave, J. Huphes. *J. biol. chem.*, v. 80, 1928, 565.
6. D. G. Baxter, W. O. Smit, G. C. Klejn. *Proc. Soc. exp. Biol.*, v. 112, 1965, 966—970.
7. G. Веупон. *J. Physiol. (Lond.)*, v. 266, 1977, 347—360.
8. M. Wassermann, G. Minail. *Acta med. leg. soc.*, v. 17, 1968, 61—89.
9. Н. Ф. Измеров, Х. Б. Хойблейн. Гигиена труда женщин. М., 1985.
10. Р. Н. Манджгаладзе. Сб. трудов НИИ гигиены труда и профзаболеваний им. Н. Махвиладзе, т. X, 1966, 191—195.
11. Р. Н. Манджгаладзе. Там же, т. II, 1967, 126—130.
12. Р. Н. Манджгаладзе, В. И. Вашакидзе. Там же, т. 4, 1965, 253—265.
13. И. Г. Фриденд. Гигиена женского труда. Л., 1975.

И. Е. ГЕРСАМИЯ

УСТАНОВКА КАК ОСНОВНОЙ ПРИЕМ ФОРМИРОВАНИЯ ПРОФЕССИОНАЛЬНЫХ КАЧЕСТВ ПЕВЦА

(Обучение певца музыкально-художественной выразительности)

(Представлено членом-корреспондентом Академии Ш. А. Надирашвили 28.3.1992)

Успехи грузинской вокальной школы настолько значительны и общепризнаны, что вряд ли необходимо говорить о мировой славе наших крупных певцов и многочисленных победах молодых исполнителей на международных конкурсах.

Отметим лишь, что их достижения—не только свидетельство исключительного таланта, но и результат самобытной системы вокального образования, сложившейся более чем за полвека в Грузии.

Тем не менее на отборочных прослушиваниях для участия в международных конкурсах, а также на республиканских конкурсах мы часто слышим певцов, которые, может, и неплохо справляются с вокально-техническими трудностями, однако не привлекают к себе внимания музыкально-художественной выразительностью исполнения. Нередко причину этого можно усмотреть в увлечении техницизмом, в формальной заботе о точности передачи нотного текста. Поэтому они и поют если не одинаково, то во всяком случае однотипно, не проявляя живой творческой индивидуальности.

Какой же вывод можно сделать из сказанного?

Есть основания полагать, что едва ли не решающим фактором отсутствия у певца музыкально-художественной выразительности является методика преподавания.

Быть может, это и вызовет возражение, но, как показывает опыт, всякий раз, когда мы сталкиваемся с отсутствием у певца музыкально-художественной выразительности, обнаруживается слабость методики обучения и воспитания певца-музыканта и художника.

Нередко встречающиеся утверждения, что музыкально-выразительные возможности являются природным даром, „божьей искрой“, могут служить и служат своеобразным завуалированием педагогической пассивности, а порой и беспомощности.

По существу, эта весьма удобная психологическая „гипотеза“ освобождает педагога от необходимости задуматься над причинами неуспеваемости учащихся в овладении музыкально-художественной выразительностью. Мнение о том, что музыкально-художественные выразительные способности¹ даны певцу от рождения, можно услышать от педагогов, которые, высказываясь на эту тему, даже не предполагают, какую важную и сложную педагогическую и психологическую проблему они затрагивают.

¹ Способности—лишь возможность для приобретения музыкально-художественных выразительных навыков и умений.

Непрофессиональная убежденность, что никаких особых научных знаний в области музыкально-художественного воспитания певца не требуется (главное— богатый исполнительский опыт и „ухо“ педагога), ложится тяжелым грузом ошибок и просчетов на судьбы молодых певцов. Вызывает удивление, как иной раз педагоги легко расправляются со вставшими перед ними проблемами вокальной педагогики и психологии.

А ведь у многих молодых певцов выразительные способности не лежат на поверхности—их приходится выявлять и специально развивать в процессе обучения.

Из сказанного напрашивается первостепенный вывод, значимый и для педагога, и для воспитуемого: у многих певцов выразительная способность выявляется и развивается в процессе обучения, более того, только в том процессе, который создает наиболее благоприятные условия для развития этих способностей. Поэтому вряд ли правомерно говорить о наличии у молодого певца музыкально-художественной выразительности как о только „божьей искре“, если его еще и не пытались обучить этому.

Правомерен вопрос: имеется или разрабатывается специальная методика для выявления и развития музыкально-художественных выразительных возможностей молодого певца в вокальной педагогике?

Как нам известно, к сожалению, нет.

В вокальной педагогике при всей неразработанности ее основных проблем существует известная систематика в вокально-технической работе, но она почти отсутствует в области творческой, в вопросах музыкально-художественного воспитания певца. Поэтому неудачи воспитания певца-музыканта и художника берут свое начало в несовершенной методике.

Ежегодно на курсовых экзаменах или академических концертах можно проследить, как протекает вокально-техническое развитие молодого певца, между тем как процесс музыкально-художественного роста едва прослеживается.

Таким образом, положение в вокальной педагогике усложняется тем, что в период обучения почти не существует научно обоснованной методики обучения музыкально-художественной выразительности певца. Поэтому не удивительно, что выразительные возможности студента-вокалиста в период обучения могут оставаться в потенциальной форме или, что совсем плохо, регрессировать, поскольку его художественный потенциал не получает развития.

Сегодня педагоги-вокалисты преподают в большинстве случаев по методу, которым обучались сами и, как правило, имеют эмпирическую базу, уже устаревшую. В большинстве случаев в основном методом таких педагогов является показ и подражание.

Деятельность современного педагога-вокалиста, не вооруженного научно обоснованной профессиональной методикой, новейшими научными достижениями, представляется нам мало эффективной. Эмпирические методы, не подкрепленные научными данными, порой приводят к отрицательным результатам в обучении. Не редкость встретить певцов, которые в годы учебы, „питаясь“ лишь талантом и опытом педагога, кажутся „подающими надежды“, но в дальнейшем, когда от него требуется самостоятельное творчество, они надежд не оправдывают. Своих идей, своей манеры понимать,



чувствовать вокально-художественное произведение и выражать это в исполнении у них нет. Они не в состоянии органически проинтонировать сочинение, без чего пение лишается теплоты и непосредственности высказывания, они не создают собственной трактовки, не проявляют своей творческой индивидуальности, им нечего сказать.

Вряд ли кто станет оспаривать, что если метод воспитания музыкально-художественной выразительности строится на научно обоснованных принципах и подходах, то и ошибок и неудач будет гораздо меньше, а успех придет намного раньше.

Необходимость создания такой методики совершенно ясна, если учесть воздействие музыкально-художественной выразительности на выработку вокальной техники, их взаимосвязь.

Развитие и совершенствование у молодого певца музыкально-художественной выразительности, естественно, требует специфической методики. Однако напрасными были бы стремления выработать общую для всех певцов систему работы над выразительностью или предложить готовый «рецепт» для решения этой проблемы, ибо каждый певец, как творческая личность, представляет собой уникам, отличный, непохожий на других, с индивидуальными психологическими особенностями.

И все же установление основных, исходных принципов работы над музыкально-художественной выразительностью возможно и необходимо.

При всем разнообразии индивидуальных психологических особенностей можно установить некоторую общность основных методов этой работы.

Существует довольно значительная часть молодых певцов (история вокального исполнительства не так уж щедро сыплет имена певцов, обладающих как прекрасной вокальной техникой, так и музыкально-художественной выразительностью), творческие возможности которых можно и следует определенным образом направить и организовать.

Одним из ключевых моментов в развитии у певца музыкально-художественной выразительности является формирование у него навыков мобилизовываться, настраиваться, «устанавливаться» на исполняемое вокально-музыкальное произведение при активном «вчувствовании» в него, т. е. выработать адекватную на исполняемое сочинение установку, что может быть достигнуто соответствующим изменением целостно-личностного состояния певца. В таком модифицированном состоянии певец добьется большей музыкально-художественной выразительности исполнения—интонации, темпа, ритма, интервалов, и в сочетании с поэтическим текстом исполнит произведение не формально, не отвлеченно, а музыкально-выразительно, вдохновенно.

Только в таком случае названные элементы приобретут выразительное значение и диапазон динамических оттенков становится многогранным, поскольку интонационная палитра шлифуется и обогащается тончайшими нюансами музыкально-выразительных оттенков, интонации наполняются содержательными красками, являясь результатом внутренней психологической настроенности певца, т. е. реализацией соответствующей установки.

Выработав в себе соответствующую исполняемому произведению установку, можно достигнуть таких нюансов выражения лица и позы, которые, передавая переживания певца как при пении, так и во время пауз—

когда он стоит молча и неподвижно, дошли бы до слушателя и взволновали его.

Для выработки у певца установки на исполняемое произведение можно успешно использовать целый ряд методических положений системы К. С. Станиславского (метод осознания „задач“, метод „правды и веры“, магическое „если бы“), а также разработанную им систему „манков“ (приманок). При этом следует учитывать тип формирования исполнительской установки певца (словесный, музыкальный, смешанный) ¹.

Исходя из личного педагогического опыта, следует отметить различную степень способности вырабатывать установку: одни ученики вырабатывают ее легко и быстро (идут „семимильными шагами“), другие — с трудом и чрезвычайно медленно („плетутся“) и достигают ее посредством больших усилий. В последнем случае педагогу следует проявить терпение и выдержку и идти настойчиво к достижению желаемых результатов.

Со временем заметно облегчается выработка этого умения (ибо оно упражняемо), уменьшаются усилия, требуемые для „устанавливания“, или настраивания на исполняемое произведение, воспитуемый научается все легче формировать установку, соответствующую данному произведению.

Во многом успешная выработка учеником умения настраиваться, „устанавливаться“ на исполняемое произведение зависит от знаний и способностей педагога, а также от педагогических приемов, варьирующихся в зависимости от индивидуальных психологических особенностей воспитуемого, в частности от личностного типа его установки.

Представление о воспитуемом будет более полным, если педагогом основательно учитывается личностный тип его установки (динамичный, статичный), что дает возможность избежать субъективизма в оценке ученика и обоснованнее судить о его музыкально-художественных возможностях.

К сожалению, личностный тип установки воспитуемого все еще не берется во внимание в вокально-педагогической практике, не исследуются его психологические особенности.

Для правильной ориентации в возможностях молодого певца, организации программы обучения с учетом личностного типа его установки, предвидения динамики усвоения им музыкально-художественной выразительности необходимо создать в таком творческом вузе, как консерватория, психологическую службу или лабораторию по изучению психологии вокального творчества (о чем неоднократно говорилось в разных работах автора данной статьи), что окажет неоценимую помощь педагогу-вокалисту в его практической многотрудной деятельности.

Тбилисская государственная консерватория
им. Вано Сараджишвили

(Поступило 29. 3. 1992)

¹ Об этом подробнее см. в нашей книге „К проблеме психологии творчества певца“. Тбилиси, 1965, с. 66—81.

ი. გერსამია

ბანჯოზე რეპერტუარის მომღერლის პროფესიული თვისებების
ფორმირების მნიშვნელოვანი ფაქტორი

(მომღერლის მუსიკალურ-მხატვრული გამოსახვის სწავლება)

რეზიუმე

წერილში ლაპარაკია ახალგაზრდა მომღერლის მუსიკალურ-მხატვრული
გამოსახვის სწავლებისას განწყობის მნიშვნელობასა და როლზე.

PSYCHOLOGY

I. GERSAMIA

SETTING AS THE BASIC METHOD FOR ESTABLISHING
PROFESSIONAL CHARACTERISTICS OF A SINGER

Summary

The role and importance of setting in the process of teaching artis-
tism to young singers is discussed.

3. სიგზი

მტკვრის ეტიმოლოგიისათვის

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ბ. ჯორბენაძემ 17.4.1992)

მტკვრის ეტიმოლოგიის შესახებ დღესაც აზრთა სხვადასხვაობაა.

მდინარე მტკვარი პირველად ნახსენებია ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეში სტრაბონის „გეოგრაფიაში“, სადაც ვკითხულობთ: „...უდიდესი ამ მდინარეთა შორის არის კიროსი¹, რომელსაც სათავე აქვს არმენიაში, პირდაპირ შემოდის დასახლებულ (იბერიის) დაბლობში, ღებულობს არაგოსს... სხვა წყლებსაც და ვიწრო ჭალებით ჩადის ალბანიაში. ამ ქვეყანასა და არმენიას შორის კიროსი დიდი ძალით მიმდინარეობს საძოვრებით მდიდარ ველებზე... და უერთდება კასპიის ზღვას. უწინ ამ მდინარეს ეწოდებოდა „კიროსი“ (11, 127).

თავის წიგნში სტრაბონი კიდევ რამდენიმე ადგილას ასახელებს კიროსს (11, 61, 108, 123, 127, 129, 131, 148, 157, 188—190).

ძველი დროის მწერლები: აპიანე (2, 199, 263), დიონ კასიოსი (5, 57, 59, 60, 62), პლუტარქე (6, XV, 285—289) მტკვარს ასახელებენ სახელწოდებით — კირნოსი.

ძველ ქართულ ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში (12, 68, 72, 159, 160, 222, 243, 257, 409), ქართულ ლიტერატურულ და ისტორიულ ძეგლებში (1, 184; 9, 24; 14, 21), ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებაში“, ვახტანგ გორგასლისა და დავით აღმაშენებლის ისტორიებში მტკვარი მრავალჯერ არის ნახსენები ასეთი ფორმით — მტკუარი.

სომხურ ისტორიულ ძეგლებში მტკვარი ცნობილია სახელით — ქურ (22, 249; 18, 128).

აკადემიკოს ნ. მარის აზრით, მტკვარი არ არის ქართული სახელწოდება: «...исторические иберы Кавказа—вовсе также не отождествляют этнически с историческими картвелами—грузинами, иначе Кура называлась бы по грузински не M-tkwar-i (←M-ṭḡor-i), а родным грузинским словом ḱal-i (21, 178—179).

სხვა ნაშრომში ნ. მარმა შესაძლებლად მიიჩნია ხუნძური მ ორ „წყალი“, „მდინარე“ დაუკავშიროს კურ- ფუძეს. შემდეგ იგი წერს: „ამასვე ეყვდლება ქართული სახელი იმავე მდინარისა მ-ტკუარ-ი, საკუთრივ მისი ფუძე — მტკორ, სადაც ტ კლასის ანუ სქესის ნიშანი და იგი ლაკურ ენაში ქდერს დ-ს სახით: სწორედ ეს სქეს-ნიშანი თუ კლას-ნიშანი განეკუთვნება ლაკურ ნებს სიტყვას, რაიც „მდინარეს“, „ნაკადულს“ ნიშნავს“ (19, 330).

ნ. მარის ამ მოსაზრების შესახებ აკადემიკოსი არნ. ჩიქობავა წერს, რომ „ლაკური ენის კლას-კატეგორიის ნიშანი დ- იყო ამოსავალი ნ. მარისათვის, როცა მტკუარ-ში ტ-დ კლასის ნიშნად გამოაცხადა. დ- ლაკურში მეოთხე

1 მთარგმნელი თ. ყუხჩიშვილი აქ და სხვაგან წერს მტკვარს. თუმცა წინასიტყვაობაში აღნიშნავს, რომ „სჯობდა, დამეტოვებინა „კიროსი“-ო. ამიტომ ჩვენ კიროსს ვწერთ.



კლასის ნიშანია. არა ჩანს, სამწუხაროდ, რა კლასის ნიშნად მიიჩნია მტკვარის მარმა ეს ტ-დ. ამაზე არაფერი აქვს ნათქვამი... (მისთვის) დაღესტნის ერთ-ერთი ენის სტრუქტურა იყო... ამოსავალი და არა ქართველური ენების მონაცემთა ანალიზი. ფაქტი სწორადაა მაინც ნაჩვენები“ (10, 176).

თავის მხრივ არს. ჩიქობავა მტკვარს ასე უწოდებს: **მ-ტ-კუარ-ი**, შემდეგ კი წერს: „ამ სახელში **მ-** ფონეტიკური დანართი ჩანს, **-ტ-** კიდევ მომდევნო **-კ-**ს ზეგავლენით გამკვეთებული **დ-** არის და ნივთის კატეგორიის მაჩვენებელი უნდა იყოს, როგორც ამას გაკვირვებ, მაგრამ არსებითად მართებულად აღნიშნავდა ნ. მარი“ (10, 176).

აკადემიკოს ვ. სტრუვეს მიაჩნია, რომ აქემენდების სახელმწიფოს დამაარსებლის კიროს II დიდის (558—530) სახელი მომდინარეობს წყალღმერთ კიროსის სახელისაგან (23, 120—121). ავტორის აზრით, „კიროს“ შესატყვისია თანამედროვე კურა (იქვე). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სტრუვეს მიხედვით მეფის სახელი მომდინარეობს მდინარის სახელწოდებისაგან.

როგორც გამოირკვა, სტრუვემდე ეს აზრი გამოთქმული ჰქონია სტრაბონს. იგი წერდა: „არის მდინარე კიროსი, რომელიც მიმდინარეობს ე. წ. ჩაღრმავებულ სპარსეთზე პასარგადთან. ამ მდინარისაგან მიიღო სახელი მეფემ და ნაცვლად ავარდატესი გადაირქვა კიროსი“ (6, 224).

ე. ი. ვ. სტრუვე იმეორებს სტრაბონის სიტყვებს 19 საუკუნის შემდეგ, მაგრამ არ უთითებს აზრის წყაროს.

მე-18 საუკუნის სომეხი ისტორიკოსის ხ. ჯუგაეცის ნაშრომში კი ვკითხულობთ: „მდინარე კურ, რომელსაც სპარსულად ეწოდება აბიკურანი, სხვა სახელსაც ატარებს — **კიუროსს**, სპარსეთის მეფის **კიუროსის** სახელის მიხედვით“ (18, 128—129).

როგორც ვხედავთ, ჯუგაეცის აზრით, მდინარის სახელი მომდინარეობს სპარსეთის მეფის — კიუროსის სახელისაგან.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი არ იზიარებს აკად. ვ. სტრუვეს შეხედულებას. იგი წერს: „...формы названий реки Куры... не содержат в себе ничего такого, что напоминало бы пережитки речного божества, к которому могло бы быть возведено имя ахеменидского царя Кира“ (22, 251).

სხვა ადგილას ლეონ მელიქსეთ-ბეგი ასეთ დასკვნას აკეთებს: მეფე კიროსის სახელს არაფერი აქვს საერთო მდინარე მტკვარის სახელწოდებასთან, რომელიც ბერძენმა მწიგნობრებმა მოარგეს კიროსის ფორმას, ხოლო **კირ-კორ** მართლაც წარმოადგენს ძველქართული ტოპონიმიკის დამახინჯებას (22, 253). ლეონ მელიქსეთ-ბეგის მართებულ დასკვნას ჩვენც ვიზიარებთ. მაგრამ აქ დამატებით უნდა ითქვას შემდეგი: მდინარე კიროსი, რომლის შესახებ სტრაბონი საუბრობს, სპარსეთის მდინარე იყო. როცა ასახელებენ კიროსს, როგორც მდინარისა და მეფის სახელს, მხედველობაში აქვთ სპარსული სინამდვილე. ხოლო მდინარე მტკვარის სახელწოდებას არაფერი აქვს საერთო სპარსეთის მეფისა და მდინარის — კიროსის სახელთან, რომელიც ბერძენებმა ხელოვნურად, რაღაც მიმსგავსებელი ქდერადობის გამო გადმოიტანეს მტკვარის სახელწოდებად. ისტორიაში იყო გარკვეული პერიოდი, როდესაც სპარსეთსა და საქართველოში ორ სხვადასხვა მდინარეს ერთნაირი სახელი ერქვა.

მდინარე მტკვარის არაქართული სახელწოდების წარმოშობის შესახებ აკად. ს. ჯიქია მსჯელობს შემდეგნაირად: მდინარე კურა სათავეს იღებს საქართველოს უძველეს პროვინციაში — კოლაში. ავტორის აზრით, მტკუარ-ი//მტკვარ-ი თავისი ფონეტიკური სახითაც ტიპური ქართული სიტყვაა. ცნობილია ქართული ენის ფონეტიკური თავისებურება, რომ ჩვეულებრივია ორა, სამი, ოთხი და მეტი თანხმოვნის თავმოყრა სიტყვის დასაწყისში ან დასასრულს (3, 50),

ქართველურ ენათა მარცვალი თავისი შედგენილობით განირჩევა სხვა ენებთან მარცვლისაგან. ძნელად შევხვდებით ენას, რომლის მარცვალს ჰქონდეს ისეთი რთული შედგენილობა, როგორც ქართული და ქართველური ენების მარცვალს აქვს (მაგ., ფრცქვნა, წვრთნა, ცეცხლს (7, 180). თავისი სტრუქტურით მტკვარ-ი მოგვაგონებს ისეთ ჩვეულებრივ ქართულ სიტყვებს, როგორცაა მ-ტკა-არ-ი, მ-ტკნ-არ-ი, მ-ტკნ-არ-ი, მ-ცხვ-არ-ი და სხვ. (7, 58, 108).

ს. ჯიქია ამბობს, რომ ქართული ენის ეს თავისებურება — ოთხი თანხმოვნის თავმოყრა სიტყვის დასაწყისში — გვხვდება სიტყვაში მტკვ-არ-ი (ძველ სახელწოდებაში — მტკუარ-ი უ უმარცვლოა) — (15, 445).

ს. ჯიქიას აზრით, თუ გულდასმითა და ყურადღებით შევხედავთ და გავაანალიზებთ ამ წმინდა ქართული ფონეტიკური ფაქტის გარდატეხას ბერძნულ, სომხურ, თურქულ, აზერბაიჯანულ, რუსულ და სხვა ენათა საარტიკულაციო სინამდვილეში, დავინახავთ, რომ ყველა უცხოენოვანი სახელწოდება მდინარე კურასი მომდინარეობს ქართული სახელისაგან მტკვარი, ხოლო ორიგინალისაგან ასე დაშორებული ფონეტიკური სახე განპირობებულია ქართული სიტყვის ოთხთანხმოვნიანი ანლაუტის უცხოობით და შეუთავსებლობით იმ უცხო ენების ფონეტიკურ სტრუქტურასთან (15, 445).

საქმე იმაშია, — ამბობს ს. ჯიქია, — რომ, როცა სესხულობენ ქართულ სიტყვას რამდენიმე თანხმოვნით ანლაუტში, მსესხებელი ენები ზღუდენ ან კარგავენ ამ თანხმოვნებს. მაგ., ტფილისი — ტიფლის (თურქ.), მგლანავი — გილნავ (თურქ.), მკედლისუბანი — ჩედლისუბან, მგლისხორბა — ლიზორბა (4, 362, 530, 256—257).

აკად. ს. ჯიქიას მიაჩნია, რომ თურქულ და სხვა უცხოენოვან სამყაროში, რომელთათვის ქართული ენის სპეციფიკური კომპლექსები არაბუნებრივი და არაპარამონიული იყო, ჯერ დაიკარგა ი (სახ. ბრუნვის ნიშანი), შემდეგ თანხმოვანთა კომპლექსი მტ, ბოლოს ვა-მ მოგვცა ი: მტკვარ-კვარ-კორ (17, 447).

ამის შემდეგ აკად. ს. ჯიქია გვთავაზობს მტკვარის სახელის ახსნის ახალ, მისეულ ვარიანტს. ს. ჯიქიას აზრით, სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე დადასტურებულია ქანურ-მეგრული წარმოშობის ტოპონიმიკური მასალა. „ამ ფონზე კი, — წერს ს. ჯიქია, — მტკვარის ასახსნელად რამდენადმე მაცდურია მეგრული სიტყვა ტკვარუა „ღრღნა“, „ზვრა“, რაღაც მკვრივის, მაგრის დაღრღნა, დაზვრა (შეად.: იმერული ტკვერა „ღრღნა“, აგრეთვე ტკვერა იმავე მნიშვნელობით ს.-ს. ორბელიანთან). მეგრული მტკვარუასაგან მიმდებარეა „ტკვარილი-ი“ — დაღრღნილი (წყლის ჩქარი დინებისაგან) ადგილი, კალაპოტი, დახეთქილი, დაჩეხილი ადგილი, იქნებ, წარმოსდგა მდინარის სახელი. შემდგომ, ამ კუთხის ქართველოზიკასთან ერთად, სიტყვამაც ტკვარ-ილი-ი, უნდა ვიფიქროთ, განიცადა ფონეტიკური და მორფოლოგიური ცვლილებები: ტკვარილი-ი—მტკვარ-ი“ (17, 446).

ს. ჯიქიას მოსაზრება გვიჩვენებს, რომ ტკვარუასაგან ენებითი გვარის მიმდებარეობა ტკვარილი გვაძლევს ტკვარ-ი ფორმას.

ზ. ჭუმბურიძე ფიქრობს, რომ „სახელწოდება მტკვარი შესაძლოა უკავშირდებოდეს ძველი საქართველოს ერთ-ერთ კუთხეს — კოლას, საიდანაც სათავეს იღებს ჩვენი დედა-მდინარე“ (13, 81).

ზ. ჭუმბურიძე აღნიშნავს, რომ არაქართველებს „მტკვარის ნაცვლად შეიძლება გამოეთქვათ კვარი, ხოლო კვარისაგან მიიღება კორი“. ავტორის დასკვნით, „მდინარე მტკვრის როგორც ქართული, ისე უცხოური სახელწოდება წარმოშობილია ერთი ფუძისაგან: „მტკვარი — კორ//ქურ-კურა (13, 82).

ა. ახუნდოვის აზრით, მდინარე მტკვარი აზერბაიჯანულად ელერს ქაჰურ მას მიაჩნია, რომ ქართულ ენაში არის რამდენიმე სიტყვა, რომლებიც ფონეტიკურად უახლოვდებიან სიტყვას „ქაჰურ“ (მდინარის აზერბაიჯანულ სახელწოდებას). ეს სიტყვებია: კობოზო, კირკა, კირი და სხვ. (15, 52).

ა. ახუნდოვი წერს, რომ, ვინაიდან აღრე სიტყვა კიურ (-მტკვარი-) იხმარებოდა ფორმით კირ და კორ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქაჰურ მომდინარეობს კირ და კორ-ისაგან. მაგრამ, რადგან ამ მდინარის ქართული სახელია მტკვარი და არა ქაჰურ, ვასავებია, რომ სიტყვას ქაჰურ არაფერი აქვს საერთო ქართულ სახელწოდებასთან მტკვარი (15, 52).

ა. ახუნდოვი ფიქრობს, რომ მდინარე კურას ბერძნული სახელები — კორ და კირ უმკველად დაკავშირებულია ზევსის ქალიშვილის — კორ-ას და აიეტის დის — კირკეს სახელებთან (15, 54).

სხვა ადგილას ახუნდოვი წერს: „კორ//კირ — ეს არსებითად მტკვრის ბერძნული სახელებია. სიტყვა კორ//კირ-ს მტკვრის აზერბაიჯანულ ქაჰურ სახელწოდებასთან არაფერი არა აქვს საერთო; ეს არის უბრალო ფონეტიკური დამთხვევა (15, 55).

ა. ახუნდოვი აყენებს სხვა დებულებასაც, რომლის მიხედვითაც მტკვრის აზერბაიჯანული სახელწოდება (ქაჰურ) დაკავშირებულია ალბანურ სიტყვასთან -კურ, რომელიც შემორჩა ალბანურის მონათესავე უდიურ ენა: „ქის“ მნიშვნელობით (15, 55).

ა. ახუნდოვის ძირითადი დასკვნები ასეთია: მტკვარი — ეს ამ მდინარის ქართული სახელია. სტრაბონისა და პტოლემეს მიხედვით ცნობილი სახელები კორ//კირ ბერძნული წარმოშობისაა; ამ ბერძნულ სახელწოდებას შეიძლება დაეყავშიროთ რუსული — კურა, ხოლო აზერბაიჯანული სახელი ქაჰურ მომდინარეობს ალბანურ-უდიური სიტყვისაგან კურ (15, 444).

ა. ახუნდოვის დებულებების მართებული კრიტიკა მოცემულია აკად. ს. ჯიქიას ნაშრომში (16), სადაც ავტორი წერს, რომ კობოზო აზერბაიჯანულად ახსნილია, როგორც „თიხის ქოთანის (დოქი, კოკა). თუ ახუნდოვს ქვეყრი აქვს მხედველობაში, მაშინ ის ძლიერ დამახინჯებულია, რადგან კობოზო ქართულ ენაში საერთოდ არ არსებობს. კირკა თარგმნილია როგორც — „ქვა“. ალბათ, ავტორს მხედველობაში აქვს კირქვა. მესამე სიტყვა, უნდა ვივარაუდოთ, კირია (16, 443).

აკად. ს. ჯიქია ასკენის, რომ: «очень затруднительно связать азербайджанский вариант названия этой реки—Kür с приведенными выше грузинскими словами коробо (?) (извери—ქვეერი?), кирка (қирквa—კირქვა?) и кир (қир-и—კირ-ი), ибо ни звуковые формы этих слов, ни их значения ничего ровно не дают для идентификации их со словом Kür. Во-первых, в приведенных груз. словах автор не различает друг от друга совершенно разные фонемы к(г)—заднеязычный абруптив и к(ქ)—заднеязычный придыхательный; во-вторых, приведенные для сравнения грузинские слова искажены так неузнаваемо, как этого не должно быть именно при этимологических разысканиях» (17, 443—444).

აკად. ს. ჯიქია არ იზიარებს ა. ახუნდოვის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ალბანეთის ტერიტორიაზე მდინარე კურამ მიიღო ახალი სახელი. მით უმეტეს, რომ კურა ქაჰურად ელერს არა მარტო აზერბაიჯანში, არამედ თურქეთშიაც. ქართველებს მეზობლად მოსახლე ალბანელები, ალბათ, მდინარე კურას ასახელებდნენ ერთი საერთო სახელწოდებით. საერთოდ კი, აღნიშნავს ს. ჯიქია, ჩვენ არ

ვიციტ, იყო თუ არა ალბანურში სიტყვა კურ „ჰის“ მნიშვნელობით, მაგრამ, თუ დავუშვებთ, რომ იყო, სემანტიკის თვალსაზრისით ძალიან საეჭვოა, რომ ის დადებოდა საფუძვლად მდინარის სახელწოდებას (17, 448—449).

ლ. მელიქსეთ-ბეგი მტკვარს ასე შლის — მ-ტ-კუარ, სადაც ძირად მიჩნეულია „კუარ“. იგი წერს: „თუ ფორმაში „კუარ“, „უა (= „ვა“) დიფთონგს ჩავთვლით „ო“-ს გაორებად, მივიღებთ მის პროტოტიპს „კორ“, რომელიც ეხმაურება „კოგ“, „კოლ“, „კოლა“-ს, რომლებიც, სხვათაშორის, დევს სატომო სახელწოდების ფუძეში „კოლ-ხ“, საიდანაც მომდინარეობენ ბერძნული „კოლხიდა“, სომხური „კოგ-ჯის“, ისე როგორც „კირ“, „კირან“ და „კურ“ (აქედან რუსული „კურა“, სომხური „ქურ“) — 22, 250.

ლ. მელიქსეთ-ბეგის დასკვნა ასეთია: „სახელწოდებას კურ-კირან-კირ-კუარ (მტკუარი) — კორ-კოლ-კოლა-ს საფუძვლად უდევს ტომობრივი სახელი „კოლ“ (22, 254) .

კ. განი მდინარის სახელს ორი ფორმით ასახელებს — მტკვარი და ტკვარი და კითხულობს, ხომ არ ნიშნავს ეს მთის მდინარესო (16, 90). განი იქვე შენიშნავს, რომ ძველად მას ერქვა კუროსი და კიროსი, იქნებ სპარსების მეფის — კიროსის საპატივცემლადო.

საინტერესოა ლ. ალფენიძის ცნობა იმის შესახებ, რომ „ძველ ქართველურში მტკვარი თურმე ცრემლის დინებას ნიშნავს“ (საწუთრო, 1988, გვ. 456).

შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენი მთავარი მდინარის სახელად სპეციალურ ლიტერატურაში გვაქვს შემდეგი ფორმები: მტკუარი—მტკვარი—კორ—კურ—კირ—კირან—ქურ—ქაურ. ჩვენ არ ვიზიარებთ ამ ფორმების დღემდე არსებულ ახსნას. არ მიგვაჩნია მართებულად, როცა ყველა ამ ფორმის ამოსავალს ხედავენ სატომო სახელში — „კოლა“. მათ არაფერი აქვთ საერთო.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქართველოს მთავარი მდინარის სახელი მტკვარა მომდინარეობს კოლხური ენისაგან. ცნობილია, რომ მტკვარი სათავეს იღებს ძველი საქართველოს ერთ-ერთი კუთხის — კოლას მიდამოებში¹. კოლას ტერიტორიაზე ცხოვრობდა კოლხი ხალხი, რომელიც, რა თქმა უნდა, კოლხურ ენაზე მეტყველებდა. თუ თავდაპირველად კოლხი ხალხის საცხოვრისი კოლა — მტკვრის სათავეებში მდებარე რეგიონით შემოიფარგლებოდა, შემდგომ, ისტორიული განვითარებისა და გაძლიერების გარკვეულ ეტაპზე იგი განივრცო და კოლხეთი ეწოდა.

იმ დროს, როცა კოლას მიდამოებში, მტკვრის სათავეებში ცხოვრობდა კოლხი ხალხი, მდინარის სახელს საფუძვლად დაედო კოლხური ენის სიტყვის ძირი ტკა. თვით ეს ძირი და მისგან წარმოებული ფორმები მტკური და მტკორი ტყიანის, გარეულის, ძლიერის, დაუდგრომელის მნიშვნელობით დღესაც შემორჩა ჰანუსის (19, 189).

დასახელებული ფორმები დამოწმებული აქვს აკად. ნ. მარს „ჭანური ენის გრამატიკაში“, მაგრამ ამ სიტყვების არც სტრუქტურას და არც სემანტიკას მტკვარს არ უკავშირებს, რადგან, როგორც ვნახეთ, მტკვრის ეტიმოლოგია იგი ეძებს დალესტნის ენებში. თვით მტკური და მტკორი ნ. მარს ახსნილი აქვს, როგორც ჭანური ენის დასავლური დიალექტის ამომსავლური თქმის ფონეტიკური სახესწავობა, სადაც უ-ს ენაცვლება ო (20, XX).

ჩვენი აზრით, მტკვარი მიღებულია მტკორისაგან. ძველ ქართულში დასტურდება საინტერესო პარალელური ფორმები: ოხჭანი ნიშნავს „დასასრული,

¹ ამას დასტურებს უცნობი ავტორის „კოლაელ ყრმათა წამება“, სადაც წერია: „იყო სოფელი ერთი დიდი თავსა ზედა დიდისა მის მდინარისასა, რომელსა ჰრქვიან მტკუარი, ხეცა, რომელსა ჰრქვიან კოლა“ (12, 72—73).



ბოლო“ სომხ. ვახუან, ნვარშაქი//სორშაქი „ცხელი“ (ჩუბ.) — სომხ. სორშაქი, ნვარშაქი//სორშაქი, ხვალმე//ხოლმე, დიაკვანი//დიაკონი, ამილახვარი//ამილახორი, თორემ//თვარემ და სხვ. (მ, 220). ამავე რიგში ჩადგება მეგრ. შონი ქართ. ხვანი. არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ქართულ აღმოსავლურ კილოებში ი იშლება ვა კომპლექსად: გვარი→გორი, თვალი→თოლი, ცხვარი→ცხორი და სხვ.

ქართული და ქართველური ენების მონაცემები, ვფიქრობთ, გვაძლევს იმის უფლებას, რომ ვთქვათ: მტკვარი მიღებულია მტკორი-საგან და ნიშნავს ტყიანს, ძლიერს, დაუდგრომელს.

მტკვარი თავისი ფონეტიკური სახით ტიპური ქართული (ქართველური) სიტყვაა. მსგავსად სხვა სიტყვებისა, მტკვარშიც ანლაუტში თავს იყრის ოთხი თანხმოვანი, მაგრამ მათი წარმოთქმა ენას არ უჭირს.

მტკვარი ქართული ჟღერადობის სიტყვაა. იგი ისე ჟღერს, როგორც მტკნარი, მტკნარი, მტკბარი და სხვ.

ბერძნულ თუ სხვა ენებში მტკვარს რომ კორ ფუძით აღნიშნავენ (-კორ-ოს-ში -ოს სახ. ბრუნვის ნიშანია), ეს კორ მიღებულია მტკორი-საგან: უცხოენოვან სამყაროში, სადაც უჭირთ მათი მშობლიური ენისათვის უცხო და არაპარმონიული რამდენიმე თანხმოვნის წარმოთქმა, იკარგება ანლაუტის მტ, მანამდე სახ. ბრუნვის -ი და რჩება კორ.

ხოლო კურ ფორმა მტკერის აღსანიშნავად მიღებულია მტკური-საგან: მტკური-ი→მტკურ→ტკურ→კურ. აქედანაა ბერძნული კურ-ოს, რუსული კურ-ა (-ა მდგდრობითი სქესის მაჩვენებელია). კურ-ის-განაა მიღებული აგრეთვე სომხური ქურ და თურქულ-აზერბაიჯანული ქაურ.

მტკერის ეტიმოლოგიის და სემანტიკის ჩვენულ გააზრებას მხარს უჭერს კოლხური ენის მიერ დიალექტის — მეგრულის მონაცემებიც. მხედველობაში გვაქვს მეგრული სიტყვა ტვარუა//ნტვარუა (სადაც 5 განვითარებულია) ტვარუა//ნტვარუა-საგან მიიღება მატვარალი//მანტვარალი, რაც ნიშნავს ძლიერს, დაუდგრომელს, რომელიც თავის გზაზე ყველაფერს ხრავს, ღრღნის, ანგრევს, ძლევს. მანტვარალიც კოლხურის ტვა-საგან უნდა მომდინარეობდეს: ტვარუა//ნტვარუა→მატვარალი//მანტვარალი→მატვარალი→მტკვარი-რალი→მტკვარი.

თუ ყურადღებას გავამახვილებთ კ. განის მიერ ფიქსირებულ ტვარ-ი ფორმაზე, აღმოჩნდება, რომ იგი დღესაც ცნობილია და მის არსებობას ადასტურებენ ცნობილი ქართველი ენათმეცნიერები: ი. მეგრელიძე, ალ. ლლონტი.

ტვარ-ი რომ ტვარუა-საგან მოდის, ეს ნათლად ჩანს უბრალო შედარებითაუ: ტვარ-უა→ტვარ-ი. ტვარი არის ის, რასაც ძალუქს ტვარუა; დაღრღნა, გასღეჩა, დაძლევა (ნელ-ნელა).

თუ მტკვარ, მტკუარ (სადაც უ უმარცვლოა), კურ, ქურ, ქაურ ფორმების შესახებ ჩვენი მსჯელობა სწორია, მას ვერ გავავრცელებთ კირ-კირნ ფორმებზე. არასერიოზული და არამეცნიერულია, რა თქმა უნდა, მოშველება წყალღმერთისა თუ კიროსი მეფის სახელებისა. ამ ფორმებს ლოგიკური და სწორი ახსნა სჭირდებათ.

კირ-კირნ ფორმები, როგორც ცნობილია, მხოლოდ ბერძნულ წყაროებშია შემონახული. ბერძნული მასალა კი გვაძლევს საშუალებას, რომ იგი (კირ-კირნ) დაეუკავშიროთ კირკეს სახელს. კირკე ერქვა კოლხეთის მითოლოგიური მეფის, შხის შვილის, აიეტის დას. აიეტი მეფობდა XIII—XII ს. ძვ. წ. ლეგენდის მიხედვით, კირკე იყო გრძნეული, ბუნების მომნუსხველი ქალღმერთი.

1 მტკერის სემანტიკასთან ახლოს დგას მდ. ტეხურის მნიშვნელობაც. ოლონდ, როგორც ვხედავთ, მისი წარმოებაა განსხვავებული, რაც არსებითაა, ტეხურში არ ჩანს პრეფიქსი მ-

„წამალმცოდნე და ჯადოქარი კირკე მეტად პოპულარული სახეა ლიტერატურასა და ხელოვნებაში ანტიკური ხანიდან დღემდე. კირკეზე წერდნენ დანტე, პეტრარკა, ბოკაჩო, ლოპე დე ვეგა, კორნელი, კალდერონი. კოლხეთის მეფის ჯადოქარი დის სახეს ხატავდნენ: ფრანჩესკო პრიმატიჩო, ჯიოვ. ვვერჩინო, ანიბალე კარაჩი, დოსი, დომენიკინო, რუბენსი. XVI—XIX სს. კირკეს შესახებ მუსიკალური ნაწარმოებები შექმნეს ძამპონიძე, პოლაროლამ, კაიზერმა, ჩინაროზამ, ქერუბინიმ, რომბერგმა“ (იხ. ა. გელოვანი, მითოლოგიური ლექსიკონი, 1983, გვ. 544).

კირკე ლათინურად ცირცე-დ, ხოლო ბერძნულად კირნოს-ად ეწოდება.

უნდა ვივარაუდოთ, რომ, როცა რამდენიმე (ათი-თერთმეტი) საუკუნის შემდეგ ბერძნები მოვიდნენ კოლხეთში (მტკვრის სათავეებთან) ანდა დაპყვნენ მტკვრის დინებას იბერიასა და ალბანეთში, ამ დიდ მდინარეს კირკეს სახელი — კირნოს-ი შეარქვეს. ბერძნებმა იცოდნენ, რომ კირნოსს ადრე კოროსი ერქვა. ე. ი. ეს მათ შეგნებულად გააცეთეს, კირკეს პატივსაცემად და მისი სახელის უკვდავსაყოფად. ეს არც იყო მოულოდნელი, რადგან უკვე არსებობდა კოლხეთში კირკეოსის მთა (11, 97), ალბათ, კირკეს სახელობისა. ხომ არსებობდა მდინარე მდღოსი მიდიაში (11, 225). მდინარესაც და ქვეყანასაც მუდგას პატივსაცემად მისი სახელი უწოდეს (11, 286).

დასკვნა. სახელწოდება მტკვარი მომდინარეობს კოლხური სიტყვისაგან მტკორი//მტკუარი. ამავე სიტყვისაგან მომდინარეობენ მტკვრის არაქართული სახელწოდებანი კოროს-ი, კუროს-ი, კურ, კურა, ჭურ, ქაურ. ხოლო კიროს-კირნოს ბერძნებმა კოროსს შეარქვეს კირკეს (აიეტის დის) პატივსაცემად — კირკე — კირნოს.

სულხან-საბას სახელობის თბილისის
სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

(შემოვიდა 20.4.1992)

ЯЗЫКОЗНАНИЕ

В. А. СЕРГИА

К ЭТИМОЛОГИИ МТКВАРИ

Резюме

Изучение истории вопроса показывает, что название главной реки Грузии имеет следующие формы: Мткуари—Мтквари—Кор—Ку-

ра—Кир—Кирн—Кур—Кюр. Считаем не научным и не правомерным, когда все эти формы связывают с «Кола», ибо они не имеют между собой ничего общего.

По нашему мнению, Мтквари происходит от колхидского слова Мтквари// Мткуари, где корень тка. Из Мтквари произошли Мтквари и Кор (o→va) в грузинской действительности, а в иноязычной среде сперва отпадает и (окончание им. падежа), а потом мт в анлауте,

и получаем Корос, Курос, Кур (Кура), Кур, Кюр.

Формы Кир-Кирн происходят от имени Кирке, сестры колхидского царя Айета, которое по-гречески звучит Кирнос. Айет и Кирке жили в XIII—XII вв. до н. э. После нескольких столетий греки, прибывшие к истокам Мтквари и по течению этой реки шедшие в Иберию и Албанию, прозвали Корос (греки знали, что эта река называлась Коросом) Кирносом — в честь Кирке.

V. SERGIA

THE ETIMOLOGY OF „MTKVARI“

Summary

The studing of the history of the problem shows that the geographical denomination of the main river of Georgia the Mtkvari has the following forms: —mtkuari—mtkvari—kor—kura—ki r—kirn—kur—kjur. The effort to connect all of these forms with word „KOLA“ seems to us unscientific way of putting the question, as well as unrightful, because there is nothing common between them.

The etymology of the geographical denomination „Mtkvari“ in our opinion, comes from the Colkhi word ‘Mtkori/mtkuri’ (the root is—tka). From ‘Mtkori’ was received ‘Mtkvari’ and KOR (O VA) in Georgian language. As to foreign languages, first there fell out the ending ‘i’ (the ending of the Nominative case in Georgian) and then ‘Mt’ in anlaut. As a result ‘KOROS, KUROS, KUR (KURA), KUR, KJUR’ was received.

The forms Kit—Kiru—come from the proper name of Cirke (Kirke), who was, as it is known, King Aet’s sister.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. ი. აბულაძე, ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობანი IX—X საუკუნეებში, თბილისი, 1944.
2. აპიანე აღექსანდრიელი, მითრიდატეს ომების ისტორია, თ. ყაუხჩიშვილის თარგმანი, შესავალი სტატია, ტექსტის გამოცემა, თბილისი, 1959.
3. გ. ახვლედიანი, ქართული ენის ფონეტიკის ზოგიერთი ძირითადი საკითხის შესახებ, ფონეტიკური კრებული, I, თბილისი, 1959.
4. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. ნაწილი III, თბილისი, 1958.
5. დიონ კასიოსი, ცნობები საქართველოს შესახებ, თარგმანი, შესავალი და კომენტარები ნ. ლომოურისა, თბილისი, 1966.
6. პლუტარქე რჩეული პარალელური ბიოგრაფიები, თარგმანი და კომენტარები ა. ურუშაძისა, წიგნი I, თბილისი, 1957.
7. ს. ჯღენტი, ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკა, I, თბილისი, 1960.
8. ს. ჯღენტი, ქართული ენის ფონეტიკა, თბილისი, 1956.
9. ქართლის ცხოვრება I. პროფ. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბილისი, 1955.
10. არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942.
11. თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1957.
12. ს. ყუბანეიშვილი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, თბილისი, 1946.
13. ჰუმბოლდი, რა გქვია შენ? თბილისი, 1966.
14. ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბილისი, 1960.
15. А. Ахундов. Уч. зап. Азерб. гос. ун-та, № 10, 1956.
16. К. Ф. Ган. Опыт объяснения Кавказских географических названий. СМОМПК, 40. Тифлис, 1909.
17. С. Джикия. ТГУ, т. 91, сер. востоковедения, II, 1960.
18. Х. Джугаеци. История Персии. Вагаршапет, 1905.
19. Н. Марр. Непочатый край. ИАН, 330, 1917.
20. Н. Марр. Грамматика чанского (лазского) языка. С.-Петербург, 1910.
21. Н. Марр. О языке и истории абхазов. М.—Л., 1938.
22. Л. М. Меликсет-Бек. Труды ТГУ, т. 91, сер. востоковедения, II, 1960.



დ. ლოსაბერიძე

ქართულთა ეთნოგენეზის საკითხისათვის

(წარმოადგინა აკადემიკოსმა გ. მელიქიშვილმა 10.4.1992)

როგორც ცნობილია, ერის ეთნოგენეზი ხანგრძლივ პროცესს წარმოადგენს და იგი ფაქტურად მხოლოდ აღნიშნული ეთნოსის სიკვდილთან ერთად მთავრდება. ამიტომ როდესაც ეთნოგენეზზე ვლაპარაკობთ, უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან ამა თუ იმ ეთნოსის ჩამოყალიბებისა და მისი შემდგომი განვითარების ეტაპები. ისტორიისა და მომიჯნავე მეცნიერებათა შესწავლის საგანსაც სწორედ პირველი მონაკვეთი წარმოადგენს და იგი იგულისხმება ეთნოგენეზის ცნების ქვეშ, რაც შეეხება მეორე ნაწილს, ეს უკვე ეთნოლოგიისა თუ სოციოლოგიის კომპენტეციას განეკუთვნება და გადის ჩვენი ინტერესების სფეროდან.

ამ შემთხვევაში ეთნოგენეზში იგულისხმება მოცემული ეთნიკური ერთობის, კერძოდ ქართველი ერის პრეისტორია, რომლის განმავლობაში მოხდა ჩვენი ერის, როგორც ფიზიკურა ერთობის, მისი ენისა და უძველესი კულტურული ცნობიერების ფორმირება და გარკვეულ ტერიტორიაზე განფენა;

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ საკითხის განხილვას ძირითადად ნეოლითური ხანიდან მოყოლებული სიტუაციის გაცნობით ვიწყებთ, რადგან პალეოლითისა და მეზოლითის განმავლობაში ცალკეული ეთნოსის არსებობაზე ლაპარაკი საფუძველს უნდა იყოს მოკლებული, ამაზე მეტყველებენ როგორც არქეოლოგიური, ისე ანთროპოლოგიური (კერძოდ რასოგენეტიკური) და ლინგვისტური მონაცემებიც [1].

ნეოლითის ხანაში კავკასიის ტერიტორიაზე ყველაზე განვითარებულ და ფაქტურად ერთადერთ კულტურას დას. საქართველოს ნეოლითი (ძვ. წთ. VII—VI ათ.) წარმოადგენს. საერთოდ ეს რეგიონი თავის სტაბილურობით გამოირჩევა, თითქმის მთელი ისტორიის მანძილზე აქ არ ჩანს ასე თუ ისე მნიშვნელოვანი მიგრაციების კვალი, რასაც ბუნებრივია, გარკვეული მიზეზები განაპირობებდა. ყოველ შემთხვევაში კულტურული უწყვეტობა როგორც ქვის ხანის, ასევე ბრინჯაოს მთელ მანძილზე ამკარაა [2].

დას. საქართველოს ნეოლითური კულტურა მთის რაიონებში უნდა ისახებოდეს, აქ იგი ძირითადად ემთხვევა ამიერკავკასიური მეზოლითური კულტურის სამოსახლოთა გავრცელების ზონას. როგორც ჩანს, დაბლობ ადგილებში ცხოვრებისათვის აუცილებელი ბუნებრივი პირობები ჯერ კიდევ არ არსებობდა; მიიდან (პალუტის ტიპის ძეგლები) ადამიანის ჩამოსვლა და მისი დაბლობ ადგილებში განსახლება ეკოლოგიური სიტუაციის ცვლამ და მოსახლეობის რაოდენობრივმა მატებამ გამოიწვია. ამ დროს, კერძოდ შუანეოლითური ხანიდან, დას. საქართველოს ტერიტორიაზე იკვეთება ორი ლოკალური ვარიანტის საზღვრები, პირველი გურია-სამეგრელოს მოიცავს, მეორე კი — აფხაზეთ-ჭიქეთს. გურია-სამეგრელოს ვარიანტი სამხრეთულ ცივილიზაციებთან ამკლავებს საერთოს, შესაძლებელია აქ მცირე აზიური, ჩათალ-ჰუიუქის კულტურის დამზობის შემდეგ მოსახლეობის მიგრაციის კვალის არსებობაც

ვიგარაუდლოთ, სწორედ ამაზე უნდა მეტყველებდეს სამხრეთული ტიპის, მა-
 ლაღვანეთარებული, მოხატული კერამიკის გამოჩენის ფაქტით. რაც შეეხება
 აფხაზეთ-ჯიქეთის ვარიანტს, იგი განვითარების უფრო დაბალ დონეზე იმყო-
 ფება და აშკარად უფრო ჩრდ.-დას. კავკასიასთან ამჟღავნებს საერთოს, აქ არ
 ჩანს სამხრეთული, მოხატული კერამიკის კვალი. ამ დროს დას. საქართველოს
 ჩრდ.-დას. რეგიონებიდან ჩრდ.-დას. კავკასიაში, საფიქრებელია, ხდება მო-
 სახლეობის გარკვეული ნაწილის შედგენვა, რასაც უნდა დავუკავშიროთ აფხა-
 ზურ-ადიღეური ეთნიკური მასივის შემდგომი ფორმირების პროცესი, ანგა-
 რიშვასაწვეია ის გარემოებაც, რომ აღნიშნულ რეგიონებში პონტური ანთრო-
 პოლოგიური ტიპის გავრცელებაც ამ ტერიტორიათა სახლეოეზე მეტყველებს
 [3, 4].

ცენტრ. და აღმ. ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ნეოლითის ხანაში აღბათ
 არ არსებობდა ადამიანის არსებობისათვის ხელსაყრელი პირობები, რადგან აქ
 დას. საქართველოდან, მიუხედავად ამ უკანასკნელის მოსახლეობით ვადა-
 ტურიკისა, არ შეიმჩნევა რაიმე მიგრაციების კვალი. სიტუაცია მკვეთრად
 იცვლება პოლოცენის შემდგომ ეტაპზე, ენეოლითის ხანაში, როცა აღნიშ-
 ნულ ტერიტორიაზე ჩნდება საკმაოდ მაღალგანვითარებული ადრესამიწათ-
 მოქმედო კულტურა, იგი საკმაოდ განვითარებულ საფეხურზე იჩენს თავს,
 ამასთან იმდენად უკავშირდება სამხრეთულ, კერძოდ ჩრდ. მესოპოტამიურ
 სამყაროს, რომ თავისთავად იბადება აზრი კულტურის არაადგილობრივი
 წარმოშობის შესახებ [5, 6, 7].

ზემოთქმულთან დაკავშირებით ვვსურს განვაცხადოთ, რომ არ არის გა-
 მორიქებული დას. საქართველოს ნეოლითური კულტურა ქართველური და შე-
 სძლოა, აფხაზურ-ადიღეური, ხოლო ენეოლითის ხანაში აღმ. და ცენტრ. ამი-
 ერკავკასიის ტერიტორიაზე გამოჩენილი კულტურა ხურიტული და მათი მო-
 ნათესავე ტომების კუთვნილებად იქნეს მიჩნეული. ამ მოსაზრების სასარგებ-
 ლოდ ლაპარაკობს მთელი რიგი მონაცემები. მაგ. ქართველურ ენებში ტერმინ
 „ზღვის“ არსებობა ზოგ მკვლევარს ქართველური ეთნოსის პირველსაცხოვ-
 რისად ზღვისპირა ტერიტორიის მიჩნევის საფუძველს აძლევს და ა. შ. [8].

დას. საქართველოში უცხო ეთნიკური გავლენისა და სოციალ-ეკონომი-
 კური განვითარების შედეგად, ჭერ კიდევ მეზოლითში არსებულ ქართველურ-
 რი და აფხაზურ-ადიღეური მასივების დაშორიშორების პროცესი ენეოლითის
 ხანაში კიდევ უფრო ვალრმავდა, ბუნებრივი პირობების საუხვის მიხედვით
 პროგრესის შეჩერებამ და მოსახლეობის მატებამ დას. საქართველოში მცხოვ-
 რები ტომების გაშლა-განვითარება გამოიწვია როგორც ჩრდ.-დას. კავკასიის,
 ისე ცენტრ. ამიერკავკასიის მიმართულებით. ამ დროს იწყება დას. საქართვე-
 ლის ადრესამიწათმოქმედო კულტურაში ორი ახალი ლოკალური ვარიანტის
 გაჩენა, რომელთაგან ერთი კოლხეთის დაბლობს მოიცავს, მეორე კი — რიონ-
 ყვირილის აუზს. ამ უკანასკნელის მსგავსი მასალები ძვ. წით. V ათ. ბოლოს
 ჩანს აღმ. საქართველოში ე. წ. სიონის ტიპის ძეგლთა სახით [9, 10].

აღმ. და ცენტრ. ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურა მიუხე-
 დავად მასში ლოკალური ვარიანტების არსებობისა, საკმაო ერთგვაროვნებით
 ხასიათდება, ამავე დროს აქ ძლიერია სამხრეთული, ჰალაფური კულტურის
 გავლენა. ამ კულტურის დიდ სივრცეზე გაშლა და ერთგვაროვნება თავისთავად
 გვაფიქრებინებს ამ რეგიონში მონათესავე ტომთა არსებობას, ხოლო ჩრდ.
 მესოპოტამიასთან კავშირი, რომელიც შემდგომში კიდევ უფრო ღრმავდება,
 თითქოს კიდევ ერთხელ უნდა ამტკიცებდეს აღნიშნული კულტურის ხური-
 ტულ და, ნახურ-დაღესტნურისა და ხურ-ურარტულის ნათესაობის შემთხვე-
 ვაში, ნახურ-დაღესტნურ-ალბანური ტომებისადმი კუთვნილების ფაქტს. ამავე

დროს, არ არის გამორიცხული, რომ აქ, კულტურის ჩრდ.-დას. პერიფერიაზე, აღმ. საქართველოში ქართველურ მასივსაც ეცხოვრა. ყოველ შემთხვევაში ასეთი რამ, როგორც ითქვა, ენეოლითის ხანის დასასრულს შეინიშნება კიდევ სიონის ტიპის დას. საქართველოსთან არსებული მსგავსების სახით [11, 3].

გასარკვევე რჩება აღნიშნული კულტურული ვარიანტებას ეთნიკური კუთვნილების საკითხი. ჩვენ სავსებით შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ დას. ქართული ენეოლითის კოლხურ ვარიანტში სვანური, ხოლო რიონ-ყვირილის ვარიანტსა და სიონის ტიპის ძეგლებში — ქართულ-ზანური ერთობათა კვალი დავინახოთ, რადგან როგორც გლოტოჭეტილოლოგური მეთოდით, ისე სოციალ-ეკონომიკური განვითარების დონის გამომხატველი ტერმინოლოგიის მიხედვით (სამიწათმოქმედო ტერმინოლოგიის განსხვავება სვანური და ქართულ-ზანურ ენებში) ათიწოს დგინდება, რომ სვანური ენის ქართველურისაგან გამოყოფის საწყის ეტაპად ძვ. წ. IV ათ. I ნახ. უნდა იქნეს მიიჩნეული. ამგვარ მონაზრებას, კერძოდ დას. საქართველოსა და აღმ. საქართველოს დას. რაიონთა (მესხეთი, შიდა ქართლი) მსგავსებას ადასტურებს ანთროპოლოგიური მონაცემებიც [12].

ძვ. წთ. IV ათ. შუახ. კავკასიაში აღრესამიწათმოქმედო, ენეოლითური კულტურის ბაზაზე ასახება და ვითარდება ახალი, აღრებრინჯაოს ხანის კულტურა, რომელიც მტკვარ-არაქსის კულტურის სახელითაა ცნობილი. ამ კულტურის განფენას საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე (კავკასია, ჩრდ.-დას. ირანი, ჩრდ. მესოპოტამია, აღმ. ანატოლია, სირია-პალესტინა) გამორიცხავს მისი ერთი რომელიმე ეთნიკური ერთობისადმი მიკუთვნების შესაძლებლობას. სავარაუდოა, რომ სწორედ სხვადასხვა ეთნიკურ ელემენტს უნდა შეესაბამებოდნენ სხვადასხვა ლოკალური ვარიანტები აღნიშნულ არქეოლოგიურ კულტურაში. აქ ჩვენ, ბუნებრივია, მხედველობაში ვვაჭვს უპირველეს ყოვლისა ქართლის, კერძოდ შიდა ქართლისა და მიმდებარე რაიონები. აქ არსებული მტკვარ-არაქსის უძველესი ძეგლები, ე. წ. დიდუბე-კიკეთის ჯგუფი, კავშირს ამჟღავნებს როგორც თანამედროვე, ქვემო ქართლის ძეგლებთან და აღრეულ, ეთნოლითურ, აღრესამიწათმოქმედო კულტურასთან, ისე სიონის ტიპის ძეგლებთან და დას. საქართველოს კულტურულ წრესთან. აქვე უნდა ითქვას, რომ სწორედ სიონის ტიპის ძეგლები წარმოადგენენ გარდამავალ საფეხურს ცენტრ. და აღმ. ამიერკავკასიაში ენეოლითისა და აღრებრინჯაოს შორის [13, 7].

ბუნებრივია, რომ ჩვენ, უპირველეს ყოვლისა სწორედ ქართველურ ტომთა განფენა-განვითარების საკითხი გვაინტერესებს. ამ თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა მტკვარ-არაქსის კულტურის დას. საქართველოში გავრცელების საკითხი. ეს უკანასკნელი აქ სამტრედიის რაიონამდე (დაბალგომი) აღწევს. როგორც ჩანს, ამ კულტურის აქ შემომტან ქართულ-ზანურ ერთობას უნდა შეევიწროვებინა დას. საქართველოს აღნიშნულ ტერიტორიაზე მცხოვრები სვანური ტომები, რომლებიც, თავის მხრივ, უფრო ჩრდ. და ჩრდ.-დას. რაიონებისაკენ ვრცელდებიან, სადაც ერთის მხრივ ავიწროვებენ აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ კულტურას (დიხა-გუძუბას ზონა), მეორეს მხრივ კი ითვისებენ მთიან რაიონებს; არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, სწორედ ამ ხანებში ხდება თანამედროვე სვანეთის ტერიტორიის ათვისება [14, 20].

უნდა აღინიშნოს, რომ დას. საქართველოს გარდა შიდა ქართლის გავლენა შეიმჩნევა მესხეთის, კახეთისა და ქვემო ქართლის ლოკალურ ვარიანტებშიც. როგორც ჩანს, ქართულ-ზანური ერთობა ამ რეგიონებზეც აერყელებდა თავის გავლენას, თუმცა რა სიღრმის იყო ეს უკანასკნელი, დადგენა ძნელდება [15, 3, 16].

მტკვარ-არაქსის კულტურის არსებობის ბოლო ეტაპზე კავკასიაში ჩნდება ჩრდ. იმპულსების გაძლიერება, რამაც ნათელი გამოხატულება პპოვა ბედენური და საჩხერელი ყორღანული სამარხების გამოჩენის ფაქტში [17]. მაგრამ სანამ აღმ. საქართველოს შუაბრინჯაოს ხანის კულტურას განვითარების საკითხს შევხებით, სპირთა მოკლედ განვიხილოთ ის სიტუაცია, რომელიც დას. კავკასიასა და მიმდებარე მცირე აზიურ რაიონებში შეიქმნა ძვ. წთ. III—II-ათ. მიჯნაზე.

როგორც ითქვა, ენეოლითის ხანაში კვლავ გრძელდება დას. საქართველოდან ჩრდ.-დას. კავკასიაში ადრე დაწყებული მოსახლეობის ინფილტრაციის პროცესი, ადრებრინჯაოს ხანაში მოვლენები კვლავ ამ მიმართულებით ვითარდებიან. ჩრდ.-დას. კავკასიაში შექმნილი მაიკოპის კულტურა თანდათან განიცდის სამხრეთელი იმპულსების ახალ-ახალ შემოტევებს და ფართოვდება ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის მიმართულებით. მაგრამ ზემოთქმული სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ეს პროცესები სამხრეთის ან აღმ. კავკასიური ცივილიზაციების დაწოლით ხდება, მართალია ადრებრინჯაოს ხანაში მტკვარ-არაქსის კულტურის დას. საქართველოს აღმ. რეგიონებში გავრცელებამ გარკვეულწილად შეაფერწოვა ადგილობრივი ტომები და ბიძგი მისცა მათ ამოძრავებას, მაგრამ მოგვიანებით, შუაბრინჯაოს დასაწყისისათვის დას. ქართული ელემენტი კვლავ ძლიერდება და მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების ზონაში (იმერეთი) კვლავ ძველი ტრადიციები იჩენენ თავს [18]. აქედან გამომდინარე, ჩვენ ძვ. წთ. III—II ათ. მიჯნაზე დას. კავკასიაში ადგილობრივი ელემენტის გაძლიერების პროცესი შეგვიძლია დავინახოთ, რასათვისაც ხელი მეზობელ ცივილიზაციათა დასუსტებასა და გაქრობასაც უნდა შეეწყოს.

როდესაც დას. კავკასიაზე ვლაბარაკობთ, არ შეიძლება არ გავიხსენოთ ის კავშირთაგან, რომლებიც აღნიშნულ რეგიონს მცირე აზიასთან აკავშირებს. მხედველობაში გვაქვს მსგავსება ინვენტარში (მცირე აზიაში მაიკოპური, ხოლო მაიკოპში სამხრეთული ნივთების გამოჩენა). მოცემულ ტერიტორიაზე მცხოვრები ტომების ეთნონიმებიც (შდრ. ქაშქი~ქაშავი, აბეშლა~აფშოლი) ემთხვევა ერთმანეთს. ამასთან დაკავშირებით შეიძლება იმ თეორიის გახსენება, რომელიც მცირე აზიის მოსახლეობისა (ქაშქები, ხათები) და აღზაზურ-ადილეური მასივის მჭიდრო. შესაძლოა გენეტიური კავშირების არსებობას ამტკიცებს [17, 19].

ყოველივე ეს აშკარად მიგვიითბებს ადრე და შუაბრინჯაოს მიჯნაზე აქ მომხდარ მნიშვნელოვან ძვრებზე, ამიტომ დასაადგენი ხდება, თუ რა მიმართულებით მიმდინარეობდა კულტურული თუ ეთნიკური მიგრაციები — სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით თუ პირიქით. საერთოდ, განსხვავებით დას. კავკასიისაგან, დიდი ეთნიკური მასივების გადაადგილება მცირე აზიისათვის უცხო მოვლენას სრულებითაც არ წარმოადგენდა. სწორედ ამ ხანებში ხდება აღმოსავლეთიდან მტკვარ-არაქსული კულტურის, ხოლო დასავლეთიდან დას. ანატოლიური მოსახლეობის შემოდღევა აღმ. და ცენტრ. ანატოლიაში. ასეთ დროს არ არის გამორიცხული, რომ აქ დას. კავკასიიდან მოსახლეობის შემოსვლაც ვივარაუდოთ, შესაძლებელია, რომ სოციალ-ეკონომური განვითარების პროცესმა მნიშვნელოვნად შეცვალა წონასწორობა ამ რეგიონში, ხელი შეუწყო ადგილობრივ კულტურათა ჩამორჩენას, რასაც მეზობელ ცივილიზაციათა გაძლიერების პირობებში, არ შეეძლო გარკვეული ძვრები არ გამოეწვია. აქ ვერც ეკოლოგიური ცვლილებების ფაქტორს უარვყოფთ, თუმცა დაბეჯითებით რაიმეს თქმა, კვლევის მოცემულ ეტაპზე მეტად ძნელდება, ყოველ შემთხვევაში, მთელი რიგი ლინგვისტური და არქეოლოგი-

ური მონაცემები სწორედ ტომთა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მოძრაობაზე უნდა მეტყველებდეს, ამასავე ადასტურებს ანთროპოლოგიური მონაცემებიც: აღნიშნულ ხანაში ცენტრ. და აღმ. ანატოლიის ჩრდ. თაიონებში ახალი, ბრაქიკრანული ტიპის გამოჩენა ამ რეგიონის დოლიქოკრანულ მოსახლეობაში შესაძლოა სწორედ ჩრდილოური იმპულსების გავლენად მივიჩნიოთ და უფრო მეტიც, ეს ახალი ეთნოსი ხათურ ელემენტს დაუკავშიროთ, ვინაიდან ბრაქიკრანთა კუთვნილი ალაჯა-პუიუქის აკლდამები სწორედ პროტოხეთების საკუთრებას წარმოადგენს. კავკასიურ-მცირე აზიურ კავშირებზე უნდა მეტყველებდეს ამ ორი მხარის კულტურაში არსებული მსგავსებანიც, მხედველობაში გვაქვს ტელუბინუს კულტის გავრცელება და სხვ. [20]. ყოველ შემთხვევაში, მცირე აზიურ სამყაროსთან შეიძლება როგორც აფხაზურ-ადიღურთ, ისე ქართველურთ, კერძოდ სვანურთ ეთნოსის დაკავშირება, თუმცა საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე ჯერ კიდევ დიდი მუშაობის ჩატარებაა საჭირო.

შუაბრინჯაოს ხანაში კავკასიის ტერიტორიაზე აშკარად ჩრდილოური გავლენის გაძლიერება იგრძნობა, მაგრამ თუ დას. კავკასიას ეს პროცესი ნაკლებ ეხება, საპირისპირო სურათს ვხედავთ ცენტრ. და აღმ. ამიერკავკასიის ტერიტორიაზე. მხედველობაში გვაქვს ჩრდილოური წარმოშობის ყორღანთა გამოჩენა თრიალეთისა და მის სინქრონულ სხვა ამიერკავკასიურ კულტურებში. ახალი კულტურა მკვეთრად განსხვავდება აქ ადრე გავრცელებული ადრე-ბრინჯაოს კულტურისაგან, რაც თავისთავად მრავალმეტყველი ფაქტია, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ადგილობრივი ელემენტაც საკმაოდ აქტიურად მონაწილეობს ახალი კულტურის ფორმირების პროცესში, რაც შეიძლება მოსული ელემენტის მცირერიცხოვნებაზე მეტყველებდეს. ამასავე უჭერს მხარს ანთროპოლოგიური მონაცემებიც, რომლებიც თუმცა აღნიშნავენ მცირეოდენ ტენილს შუაბრინჯაოს ხანის კავკასიაში, ძირითადად მაინც წინა ეპოქის ტიპისადმი მეგვიდრობითობას ავლენენ [21].

დღის წესრიგში დგება შემოსულ ტომთა ეთნიკური ვინაობის დადგენის საკითხიც. თუ ჩვენ აღმ. ევროპის სტეპთა ზონის კულტურების განვითარების პროცესს გადავავლებთ თვალს, დავინახავთ, რომ ამ ხალხებში ინდოევროპული ეთნოსი, კერძოდ მისი არიული, ინდო-ირანული განშტოების არსებობა უნდა ვივარაუდოთ. ამაზე უნდა მეტყველებდეს დიდი ინდოევროპული გავლენის არსებობა ქართულ-ხანური ერთობის დონეზე. შენიშვნის სახით აქვე ვიტყვი, რომ ინდოევროპული გავლენა ქართველურ ენებში იმდენად ძლიერია, რომ მისი ახსნა ძნელდება მხოლოდ ერთჯერადი მიგრაციით, მაგრამ ის გარემოება, რომ შუაბრინჯაოს დასაწყისში სწორედ ერთ-ერთ ასეთ შეხვედრას აქვს ადგილი, ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ინდოევროპული გავლენა კავკასიიდან უნდა შემოსულიყო წინა აზიაშიც, სადაც მის არსებობაზე ხუროტიურ სამყაროში არიული ონომასტიკონის არსებობა მეტყველებს [17, 22].

თუ ჩვენ შევჯამებთ ზემოთქმულს, დავინახავთ, რომ შუაბრინჯაოს ხანაში აღმ. და ცენტრ. ამიერკავკასიის ტერიტორიაზე საკმაოდ ჰრელი ეთნიკური სურათი იქმნება. აქ ერთმანეთის გვერდიგვერდ უნდა ეარსებათ ქართველურ (ქართულ-ხანურ), ნახურ-დაღესტნურ, ალბანურ, ზურა-ურარტულ და ინდოევროპულ (ინდო-ირანულ) ტომებს, სწორედ ამაზე უნდა მეტყველებდეს როგორც კულტურათა სიმრავლე, ისე ცალკეულ კულტურებში მთელი რიგი ელემენტური ვარიანტების შექმნა-განვითარებაც.

ასეთივე სურათი ჩანს გვიანბრინჯაოს ხანაშიც, ამ დროისათვის ქართველური ერთობა უკვე საბოლოოდაა დაშლილი და ქართველური ტომები განსახლებულნი არიან დას., აღმ. და სამხრ. საქართველოს, სამხრ.-აღმ. შვაზღვისპირეთისა და მათ სამხრეთით მდებარე ტერიტორიებზე, სადაც მეზობელ ტომ-

მებთან კონტაქტის შედეგად გრძელდება ეთნოგენეტიური ფორმირების პროცესი.

აღნიშნულ ეპოქაში ქართველური ტომების განსახლების ტერიტორიაზე იქმნება კოლხური კულტურა, რომელსაც თავის შემადგენლობაში შემოჰყავს აფხაზურ-ადიღური ტომების დასახლებული ტერიტორიის ნაწილიც. ამ ტერიტორიაზე გვიანბრინჯაოს ხანაში სოციალ-ეკონომიური განვითარების შედეგად ერთი მხრივ ჩქარდება ინტეგრაციის პროცესი, ხოლო მეორეს მხრივ, მოსახლეობის მატების შედეგად, იზრდება მიგრაციათა სიდიდე და რაოდენობა. ძვ. წთ. XIII ს. მცირე აზიაში „ზღის ხალხების“ შემოსვლის შედეგად ნადგურდებიან ან მეტად სუსტდებიან აღმოსავლეთის მთელი რიგი უძლიერესი სახელმწიფოები, ეს კი ხელსაყრელ პირობას ქმნიდა კავკასიური და მათ შორის ქართველური ტომების სამხრეთული მიგრაციების დასაწყებად. სწორედ ამით სარგებლობდნენ მუშქთა და ქაშაქთა ტომები, რომლებიც იყავებენ ცენტრ. და აღმ. ანატოლიის ჩრდ. რაიონებს და აქ აარსებენ თავიანთ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს, რომელთა შორისაც, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, მუშქთა სამეფო უნდა დასახლდეს. ბუნებრივია, ჩრდილო რაიონებიდან მოსული, განვითარების შედარებით დაბალ საფეხურზე მდგომი ტომები მალე მოექცნენ მაღალგანვითარებული ადგილობრივი მოსახლეობის გავლენის ქვეშ. სწორედ ამ ხანებში უნდა განეცადათ მუშქებს ანატოლიურ ენათა მასივის, კერძოდ ლუვიურის დიდი გავლენა. შოგვიანებით, ძვ. წთ. I ათ. I ნახ., ასურეთისა და ურარტუს გაძლიერებისა და ტომთა ახალი მიგრაციების შედეგად შევიწროებული ქართველური ტომები თავიანთ პირველსაცხოვრის ტერიტორიის უბრუნდებიან. ეს პროცესი განსაკუთრებით გაძლიერდა ძვ. წთ. VII—VI ს.ს., როცა დაემხო ჯერ მუშქთა (ძვ. წთ. 676 წ.). ხოლო მოგვიანებით ურარტუს სახელმწიფოები [23].

აღმ. და სამხრ. საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ტომები გვიანბრინჯაოს ხანაში ასევე ააქტიურებენ თავიანთ კონტაქტებს სამხრეთელ მეზობლებთან. ასურულ და ურარტულ წყაროებში მოხსენებულია მთელი რიგი ქვეყნებისა (დიოხი, ზაბახა, ვიტერუხი და ა. შ.), რომელთა ნაწილიც უკულობლად ქართველურ ტომებს უნდა ეკუთვნოდეთ. სწორედ აქ ხორციელდებოდა კონტაქტები ქართველურ და ხური-ურარტულ-ნახურ-დაღესტნურ სამყაროებს შორის, რამაც ჩვენი აზრით, ძვ. წთ. II ათ. დასაწყ. მოყოლებული, განაპირობა კიდევ ქართულ-ზანური ერთობის დაშლა [24].

გვიანბრინჯაოსა და ადრეგინის ხანაში კიდევ უფრო ძლიერდება ინტეგრაციული პროცესები, ასპარეზზე ჩნდებიან ახალი ტომები, ჯერ კიდევ ძვ. წთ. XII ს. დაიწყო ფრიგიულ-სომხური ტომების შემოღწევა ანატოლიის დას. რეგიონებიდან. ძვ. წთ. VIII ს. ჩრდ. კავკასიიდან იჭრებიან სკითთა და კიმერიელთა ინდო-ირანული ტომები, რომელთა ნაწილიც ასევე კავკასიის მიწა-წყალზე სახლდება. ურარტუს სახელმწიფოს განადგურების შემდეგ ზოგი ურარტული ტომი შემოდის ამიერკავკასიის მიწაწყალზე და აქ აფარებს თავს. სამხრეთიდან და დას. საქართველოდან ზდება ქართველური ტომების ახალი მასების შემოღწევა (მუშქი-მესხები, კოლხური კულტურის მატარებელი მოსახლეობა). ამიერკავკასიის ტერიტორიაზე უნდა ეტკოვრათ არაადგილობრივი წარმოშობის სხვა. შესაძლოა ინდოევროპულ (ინდო-ირანულ) ტომებსაც (იალოიდულთა კულტურა და სხვ.). ყოველივე ეს მოსახლეობის კონცენტრაციასთან და სოციალ-ეკონომიურ პროგრესთან ერთად აჩქარებდა აღნიშნულ ხალხთა ურთიერთშერწყმის პროცესს [17].

განვითარების შემდგომ სტადიაზე, ანტიკურ ხანაში, როცა შეიქმნა პირობები ქართული სახელმწიფოებრიობის წარმოქმნისათვის, აღნიშნულ ტომთა

კონსოლიდაციის პროცესი კიდევ უფრო ჩქარდება. თუ ისტორიული წყაროები, არქეოლოგიური და ლინგვისტური მონაცემები რკინის ხანისათვის კავკასიის ტერიტორიაზე ტომთა და ენათა საოცარი მრავალფეროვნების სურათს ხედავენ, ელინისტური და შემდგომი ეპოქებისათვის აქ უკვე სრულებით სხვა სურათია შექმნილი. კულტურათა კვილიში გამარჯვებული რამდენიმე ეთნოსი (ქართველური, ძირითადად ქართი ელემენტი, სომხური და ა. შ.) გამოდის. ეს ტომები ახდენენ დანარჩენი, შედარებით სუსტი ეთნიკური მასივების ასიმილაციას და თანდათან აყალიბებენ ერთგვაროვან ეთნიკურ არეალებს [25]. ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბება-განვითარების პროცესში თანდათან ჩაებნენ და გაქართველდნენ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები აფხაზურ-აღილეური, ნახურ-დაღესტნური, ალბანური, ხურ-ურარტული, ინდო-ირანული, სომხური და სხვ. ტომები, ხოლო თვით ქართველურ ენებში მომდინარეობდა ქართი ენის მიერ დაკავებული არეალის გავართოვება ზანური და სვანური ტომების ასიმილაციის ხარჯზე. ეს პროცესი ფაქტობრივად, გრძელდებოდა არა მარტო ანტიკურ და ელინისტურ, არამედ ფეოდალურ ხანაშიც, რაზეც ასევე მეტყველებს მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური, ლინგვისტური თუ ისტორიული მასალა.

ამრიგად, ქართველი ერის ფორმირების პროცესი რამდენიმე ათას წელიწადს მიმდინარეობდა და შეიძლება ითქვას, რომ დღესაც არ არის დასრულებული.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(შემოვიდა 17.5.1992)

ИСТОРИЯ

Д. Г. ЛОСАБЕРИДЗЕ

К ВОПРОСУ ЭТНОГЕНЕЗА ГРУЗИН

Резюме

В статье рассматривается вопрос о ситуации на Кавказе с эпохи мезолита до античного периода. Показано, что формирование грузинских племен представляет результат длительных и часто взаимоисключающих процессов. После сопоставления археологических, антропологических, лингвистических, источниковедческих и т. д. данных создана общая картина развития грузинских племен этого периода.

Отмечено, что процесс формирования грузинского народа тесно переплетается с историей Ближнего Востока, Восточной Европы, Средиземноморья и что в формировании этого этноса значительную роль играли соседние народы в лице абхазско-адыгейского, нахо-дагестанского, хурри-урартского, хаттского, хеттского, арийского (индо-иранского), армянского и других массивов, которые в разные эпохи и на разных территориях воздействовали на племена-носители картвельских языков. Все это на протяжении тысячелетий сформировало единое культурно-экономическое и социально-политическое пространство и подготовило почву для основания грузинской государственности.

HISTORY

D. LOSABERIDZE

TO THE QUESTION OF ETHNOGENESIS OF GEORGIANS

Summary

The paper considers the situation in the Caucasus from Mesolith to the Classic Age and provides the evidence that the formation of Georgian tri-

bes must be the result of long and often mutually exclusive processes. The comparison of archaeological, anthropological, linguistic, historical and other data lead to the foundation of the general scheme of the development of Georgian tribes during the mentioned period. The paper assumes that the formation of Georgian nation was closely connected with the history of Near East, Eastern Europe, Mediterranean and that adjacent peoples, such as Abkhazian—Adyghian, Nakhian—Dagestanian, Hurri—Urtian, Hettian, Aryan (Indo-Iranian), Armenian, etc., influenced Kartvelian tribes during different epochs and in different territories. The proceeding of these factors during millennia formed a single cultural-economic and social-political space and paved the way for the Georgian statehood foundation.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. А. А. Формозов. Проблемы этнокультурной истории каменного века на территории Европейской части СССР. М., 1977.
2. დ. ნებერიძე, დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმომკმედო კულტურის განვითარების ადრეული საფეხურები (გვიანმეზოლითი-ენეოლითი), თბ., 1986.
3. თ. ჯაფარიძე ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის, არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, თბ., 1976.
4. М. Г. Абдушелишвили. Антропология древнего и современного населения Грузии. Тбилиси, 1964.
5. თ. კელტრაძე, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმომკმედო კულტურის პერიოდიზაცია, თბ., 1976.
6. О. М. Джапаридзе. На заре этнокультурной истории Кавказа. Тбилиси, 1989.
7. К. Х. Кушнарёва, Т. Н. Чубинашвили. Древние культуры Южного Кавказа (V—III тыс. до н. э.). JL, 1970.
8. Р. В. Гордезиани. Кавказ и проблемы древнейших средиземноморских языковых и культурных взаимоотношений. Тбилиси, 1976.
9. დ. თუშაბრამიშვილი, დ. ნებერიძე, საქართველოს ზოგიერთი ენეოლითური ძეგლის დათარიღებისათვის, მაცნე, 4, თბ., 1971.
10. Г. Г. Пхакадзе. СА, 2, 1968.
11. გ. მელიქიშვილი, რეცენზია, თ. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეული საფეხურზე, კაკ, II, თბ., 1962.
12. მ. აბდუშელიშვილი, ანთროპოლოგიური მასალები საქართველოს ისტორიისათვის, მკა, II, თბ., 1971.
13. გ. ფხაკაძე, ქვემო ქართლის ენეოლითი (ციცეთის არქეოლოგიური ძეგლები) თბ., 1963.
14. თ. კიციანი, მიწათმომკმედობა და სამიწათმომკმედო კულტურა ქველ საქართველოში (არქეოლოგიური მასალების მიხედვით), თბ., 1976.
15. ა. ორჯონიკიძე, მასალები სამცხის ადრებრინჯაოს ხანის არქეოლოგიისათვის, ამ, I, თბ., 1977.
16. К. Н. Пичхалаური, Ш. Ш. Дедабришвили. АИИГ, I, 1976.
17. გ. მელიქიშვილი, საქართველოს კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965.
18. გ. ფხაკაძე, მტკვარ-არაქსისა და დასავლეთ საქართველოს ადრებრინჯაოს ხანის კულტურის ზოგიერთი შეხვედრა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, სსს, I, თბ., 1978.
19. З. В. Анчабадзе. Очерк этнокультурной истории абхазского народа. Сухуми, 1976.
20. გ. ქავთარაძე, ცენტრალური ანატოლიისა და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ურთიერთობის საკითხისათვის ადრებრინჯაოს ხანაში, თსუ შრომები, 183, თბ., 1978.
21. გ. გობეჯიშვილი, ბედენის გორასამარხების კულტურა, თბ., 1981.
22. И. М. Дьяконов. ВДИ, 3, 1982.
23. ნ. ხაზარაძე, საქართველოს ძველი ისტორიის ეთნო-პოლიტიკური პრობლემები (მოსახლეობა), თბ., 1984.
24. Г. А. Меликишвили. О происхождении грузинского народа. Тбилиси, 1962.
25. კ. ფიცხელაური, აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წთ. XV—VII სს.), თბ., 1973.

ს ბ ტ ო რ ტ ა ს ა ყ უ რ ა ლ ე ბ ო ლ

1. ჟურნალ „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში“ ქვეყნდება აკადემიკოსთა და წევრ-კორესპონდენტთა, აკადემიის სისტემაში მომუშავე და სხვა მეცნიერთა მოკლე წერილები, რომლებიც შეიცავს ახალ მნიშვნელოვან გამოკვლევათა ჯერ გამოუქვეყნებულ შედეგებს. წერილები ქვეყნდება მხოლოდ იმ სამეცნიერო დარგებიდან, რომელთა ნომენკლატურული სია დამტკიცებულია აკადემიის პრეზიდიუმის მიერ.

2. „მოამბეში“ არ შეიძლება გამოქვეყნდეს პოლემიკური წერილი, აგრეთვე მიმოხილვითი ან აღწერითი ხასიათის წერილი ცხოველთა, მცენარეთა ან სხვათა სისტემატიკაზე, თუ მასში მოცემული არაა მეცნიერებისათვის განსაკუთრებით სინტერესო შედეგები.

3. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსთა და წევრ-კორესპონდენტთა წერილები უშუალოდ გადაეცემა გამოსაქვეყნებლად „მოამბის“ რედაქციას, ხოლო სხვა ავტორთა წერილები ქვეყნდება აკადემიკოსთა ან წევრ-კორესპონდენტთა წარდგინებით. როგორც წესი, აკადემიკოსს ან წევრ-კორესპონდენტს „მოამბეში“ დასაბეჭდად წელიწადში შეუძლია წარმოადგინოს სხვა ავტორთა არა უმეტეს 12 წერილისა (მხოლოდ თავისი სპეციალობის მიხედვით), ე. ი. თითოეულ ნომერში თითო წერილი. საკუთარი წერილი — რამდენიც სურს, ხოლო თანაავტორებთან ერთად — არა უმეტეს სამი წერილისა. გამონაკლის შემთხვევაში როცა აკადემიკოსი ან წევრ-კორესპონდენტი მოითხოვს 12-ზე მეტ წერილის წარდგენას, საკუთარ წევრებს მთავარი რედაქტორი. წარდგინების ვარგულ შემთხვევაში „მოამბის“ რედაქცია წარმოსადგენად გადასცემს აკადემიკოსს ან წევრ-კორესპონდენტს. ერთსა და იმავე ავტორს (გარდა აკადემიკოსისა და წევრ-კორესპონდენტისა) წელიწადში შეუძლია „მოამბეში“ გამოაქვეყნოს არა უმეტეს სამი წერილისა (სულ ერთია, თანაავტორებთან იქნება იგი, თუ ცალკე).

4. წერილს აუცილებლად უნდა ახლდეს ჟურნალ „მოამბის“ რედაქციის სახელზე იმ სამეცნიერო დაწესებულებების მომართვა, სადაც შესრულებულია ავტორის საქმე.

5. წერილი წარმოდგენილი უნდა იყოს ორ ცალად, დასაბეჭდად საცემბით მზა სახით, ავტორის სურვილისამებრ ქართულ რუსულ ან ინგლისურ ენაზე. ქართულ ტექსტს თან უნდა ახლდეს რუსული და მოკლე ინგლისური რეზიუმე, რუსულ ტექსტს — ქართული და მოკლე ინგლისური რეზიუმე. ხოლო ინგლისურ ტექსტს — ქართული და მოკლე რუსული რეზიუმე. წერილის შოკულობა ილუსტრაციებითურთ, რეზიუმეებითა და დამოუკიდებელი ლიტერატურის ხუსნითურთ, რომელიც მას ბოლოში ერთვის, არ უნდა აღემატებოდეს ჟურნალის 8 გვერდს (16 000 სასტამბო ნიშანი), ანუ საწერ მანქანაზე ორი ინტერვალით გადაწერილ 12 სტანდარტულ გვერდს (ფორმულებიანი წერილი კი 11 გვერდს) არ შეიძლება წერილების ნაწილებად დაყოფა სხვადასხვა ნომერში გამოსაქვეყნებლად. ავტორისაგან რედაქციას ეღებულობს თავში მხოლოდ ერთ წერილს.

6. აკადემიკოსთა ან აკადემიის წევრ-კორესპონდენტთა წარდგინება რედაქციის სახელზე დაწერილი უნდა იყოს ცალკე ფურცელზე წარდგინების თარიღის აღნიშვნით. მასში აუცილებლად უნდა აღინიშნოს, თუ რა არის ახალი წერილში, რა მეცნიერული ღირებულება აქვს მას და რამდენად უპასუხებს ამ წესების 1 მუხლის მოთხოვნას.

7. წერილი არ უნდა იყოს გადატვირთული შესავლით, მიმოხილვით, ცხრილებით, ილუსტრაციებითა და დამოუკიდებელი ლიტერატურით. მასში მთავარი ადგილი უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი საკუთარი გამოკვლევის შედეგებს. თუ წერილში გზადაგზა, ქვეთავებზე მიხედვით გადმოცემულია დასკვნები, მაშინ საჭირო არაა მათი გამეორება წერილის ბოლოს.

8. წერილი ასე ფორმდება: თავში ზემოთ უნდა დაიწეროს ავტორის ინიციალები და გვარი, ქვემოთ — წერილის სათაური. სათაურის ქვემოთ წარმოდგენის ინიციალები, გვარი და წარმოდგენის თარიღი არაბული ციფრებით. ზემოთ მარჯვენა მხარეს, წარმოდგენა უნდა წააწეროს, თუ მეცნიერების რომელ დარგს განეკუთვნება წერილი. წერილის ძირითადი ტექსტის ბოლოს, მარცხენა მხარეს, ავტორმა უნდა აღნიშნოს იმ დაწესებულების სრული სახელიწოდება და ადგილმდებარეობა, სადაც შესრულებულია შრომა.

9. ილუსტრაციები და ნახაზები წარმოდგენილი უნდა იქნეს ორ ცალად კონვერტით. ამასთან, ნახაზები შესრულებული უნდა იყოს კალკანზე შავი ტუსით. წარწერები ნახაზებს უნდა გაუკეთდეს კალიგრაფიულად და ისეთი ზომისა, რომ შემცირების შემთხვევაშიც კარგად იკითხებოდეს. ილუსტრაციების ქვემო წარწერების ტექსტი წერილის ძირითადი ტექს-

ტის ენაზე წარმოდგენილ უნდა იქნეს ცალკე ფურცელზე. არ შეიძლება ფოტოებისა და ნახაზების დაწებება დედნის გვერდებზე. ავტორმა დედნის კიდზე ფანქრით უნდა აღნიშნოს რა ადგილას მოთავსდეს ესა თუ ის ილუსტრაცია. არ შეიძლება წარმოდგენილ იქნეს მსგავსი ცხრილი, რომელიც ჟურნალის ერთ გვერდზე ვერ მოთავსდება. ფორმულები მელნით მკაფიოდ უნდა იყოს ჩაწერილი ტექსტის ორივე ეგზემპლარში, ბერძნულ ასოებს ქვემოთ ყველგან უნდა გაესვას თითო ხაზი წითელი ფანქრით, მთავრულ ასოებს — ქვემოთ ორ-ორი პატარა ხაზი შავი ფანქრით, ხოლო არამთავრულ ასოებს — ზემოთ ორ-ორი პატარა ხაზი შავი ფანქრით. ფანქრითვე უნდა შემოიფარგლოს ნახევარწრით ნიშნაგებიც (ინდექსები და ხარისხის მაჩვენებლები). რეზიუმეები წარმოდგენილ უნდა იქნეს ცალ-ცალკე ფურცელზე. წერილში არ უნდა იყოს ჩასწორებები და ჩამატებები ფანქრით ან მელნით.

10. დამოწმებული ლიტერატურა უნდა დაიბეჭდოს ცალკე ფურცელზე. საჭიროა დაცულ იქნეს ასეთი თანმიმდევრობა: ავტორის ინიციალები, გვარი. თუ დამოწმებულია საჟურნალო შრომა, ვუჩვენეთ ჟურნალის შენოვლებული სახელწოდება, ტომი, ნომერი, გამოცემის წელი. თუ დამოწმებულია წიგნი, აუცილებელია ვუჩვენოთ მისი სრული სახელწოდება, გამოცემის ადგილი და წელი. თუ ავტორი საჭიროდ მიიჩნევს, ბოლოს შეუძლია გვერდების ნუმერაციაც უჩვენოს. დამოწმებული ლიტერატურა უნდა დალაგდეს არა ანბანური წესით, არამედ დამოწმების თანმიმდევრობით. ლიტერატურის მისათითებლად ტექსტსა თუ შენიშვნებში კვადრატულ ფრჩხილებში ნაჩვენები უნდა იყოს შესაბამისი ნომერი დამოწმებული შრომისა. არ შეიძლება დამოწმებული ლიტერატურის ნუსხაში შევიტანოთ ისეთი შრომა, რომელიც ტექსტში მითითებული არ არის. ასევე არ შეიძლება გამოუქვეყნებელი შრომის დამოწმება. დამოწმებული ლიტერატურის ბოლოს ავტორმა უნდა მოაწეროს ხელი, აღნიშნოს სად მუშაობს და რა თანამდებობაზე, უჩვენოს თავისი ზუსტი მისამართი და ტელეფონის ნომერი.

11. „მოამბეში“ გამოქვეყნებული ყველა წერილის მოკლე შინაარსი იბეჭდება რეფერატულ ჟურნალში. ამიტომ ავტორმა წერილთან ერთად აუცილებლად უნდა წარმოადგინოს მისი რეფერატი რუსულ ენაზე (ორ ცალად).

12. ავტორს წასაკითხად ეძლევა თავისი წერილის გვერდებად შეკრული კორექტურა მკაცრად განსაზღვრული ვადით (არაუმეტეს ორი დღისა). თუ დადგენილი ვადისათვის კორექტურა არ იქნა დაბრუნებული, რედაქციას უფლება აქვს შეაჩეროს წერილის დაბეჭდვა ან დაბეჭდოს იგი ავტორის ვიზის გარეშე.

13. ავტორს უფასოდ ეძლევა თავისი წერილის 10 ამონაბეჭდი.

(დამტკიცებულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მიერ 6.2.1969 შეტანილია ცვლილებები 10.2.1992)

რედაქციის მისამართი: თბილისი 60, კუტუზოვის ქ. № 19; ტელ. 37-22-16, 37-86-42, 37-85-61

სადოსტო ინდექსი 380060

К СВЕДЕНИЮ АВТОРОВ

1. В журнале «Сообщения АН Грузии» публикуются статьи академиков, членов-корреспондентов, научных работников системы Академии и других ученых, содержащие еще не опубликованные новые значительные результаты исследований. Печатаются статьи лишь из тех областей науки, номенклатурный список которых утвержден Президиумом АН Грузии.

2. В «Сообщениях» не могут публиковаться полемические статьи, а также статьи обзорного или описательного характера по систематике животных, растений и т. п., если в них не представлены особенно интересные научные результаты.

3. Статьи академиков и членов-корреспондентов АН Грузии принимаются непосредственно в редакции «Сообщений», статьи же других авторов представляются академиком или членом-корреспондентом АН Грузии. Как правило, академик или член-корреспондент может представить для опубликования в «Сообщениях» не более 12 статей разных авторов (только по своей специальности) в течение года, т. е. по одной статье в каждый номер, собственные статьи—без ограничения, а с соавторами—не более трех. В исключительных случаях, когда академик или член-корреспондент требует представления более 12 статей, вопрос решает главный редактор. Статьи, поступившие без представления, передаются редакцией академику или члену-корреспонденту для представления. Один и тот же автор (за исключением академиков и членов-корреспондентов) может опубликовать в «Сообщениях» не более трех статей (независимо от того, с соавторами она или нет) в течение года.

4. Статья обязательно должна иметь направление из научного учреждения, где проведена работа автора, на имя редакции «Сообщений АН Грузии».

5. Статья должна быть представлена автором в двух экземплярах, в готовом для печати виде, на грузинском, на русском или на английском языке, по желанию автора. К грузинскому тексту должны быть приложены русское и краткое английское резюме, к русскому тексту—грузинское и краткое английское резюме, а к английскому тексту—грузинское и краткое русское резюме. Объем статьи, включая иллюстрации, резюме и список цитированной литературы, приводимый в конце статьи, не должен превышать 8 страниц журнала (16 000 типографских знаков), или двенадцати стандартных страниц машиннописного текста, отпечатанного через два интервала (статьи же с формулами—одиннадцати страниц). Представление статьи по частям (для опубликования в разных номерах) не допускается. Редакция принимает от автора в месяц только одну статью.

6. Представление академика или члена-корреспондента на имя редакции должно быть написано на отдельном листе с указанием даты представления. В нем необходимо указать: новое, что содержится в статье, научную ценность результатов, насколько статья отвечает требованиям пункта 1 настоящего положения.

7. Статья не должна быть перегружена введением, обзором, таблицами, иллюстрациями и цитированной литературой. Основное место в ней должно быть отведено результатам собственных исследований. Если по ходу изложения в статье сформулированы выводы, не следует повторять их в конце статьи.

8. Статья оформляется следующим образом: сверху страницы в середине пишутся инициалы и фамилия автора, затем—название статьи, а под названием—инициалы и фамилия представляющего статью и дата представления арабскими цифрами. Справа сверху представляющий статью указывает, к какой области науки относится она. В конце основного текста статьи с левой стороны автор указывает полное название и местонахождение учреждения, где выполнена данная работа.

9. Иллюстрации и чертежи должны быть представлены в двух экземплярах в конверте; чертежи должны быть выполнены черной тушью на кальке. Надписи на чертежах должны быть исполнены каллиграфически в таких размерах, чтобы даже в случае уменьшения они оставались отчетливыми. Подрисуночные подписи, сделанные на языке основного текста, должны быть представлены на отдельном листе. Не следует приклеивать фото и чертежи к листам оригинала. На полях ори-

сигнала автор отмечает карандашом, в каком месте должна быть помещена та или иная иллюстрация. Не должны представляться таблицы, которые не могут поместиться на одной странице журнала. Формулы должны быть четко вписаны чернилами в оба экземпляра текста; под греческими буквами проводится одна черта красным карандашом, под прописными — две черты черным карандашом снизу, над строчными — также две черты черным карандашом сверху. Карандашом должны быть обведены полукругом индексы и показатели степени. Резюме представляются на отдельных листах. В статье не должно быть исправлений и дополнений карандашом или чернилами.

10. Список цитированной литературы должен быть отпечатан на отдельном листе в следующем порядке. Вначале пишутся инициалы, а затем — фамилии автора. Если цитирована журнальная работа, указываются сокращенное название журнала, том, номер, год издания. Если автор считает необходимым, он может в конце указать и соответствующие страницы. Список цитированной литературы приводится не по алфавиту, а в порядке цитирования в статье. При ссылке на литературу в тексте или в списках номер цитируемой работы помещается в квадратные скобки. Не допускается вносить в список цитированной литературы работы, не упомянутые в тексте. Не допускается также цитирование неопубликованных работ. В конце статьи, после списка цитированной литературы, автор должен подписаться и указать место работы, занимаемую должность, точный домашний адрес и номер телефона.

11. Краткое содержание всех опубликованных в «Сообщениях» статей печатается в реферативных журналах. Поэтому автор обязан представить вместе со статьей ее реферат на русском языке (в двух экземплярах).

12. Автору направляется корректура статьи в сверстном виде на строго ограниченный срок (не более двух дней). В случае невозвращения корректуры к сроку редакция вправе приостановить печатание статьи или печатать ее без визы автора.

13. Автору выдается бесплатно 10 оттисков статьи.

(Утверждено Президиумом Академии наук Грузии
6.2.1959; внесены изменения 10.2.1992)

Адрес редакции: Тбилиси 60, ул. Кутузова, 19, телефоны: 37-22-16, 37-86-42,
37-85-61

Почтовый индекс 380060



648/23

ЅВЯТ 1 85Б. 90 333
ЦЕНА 1 РУБ. 90 КОП.

ИНДЕКС 76181